პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით.

წელიწადი მესამე

კომუნისტი

ცენტრალურ და ტფილისის
კომიტეტის
და სრ. საქ. მ., გ. წ. არ. და მატრ
დეპ. საბ.
ცაკის ორგანო

რედაქცია: ტფილისი, რუსთაველის პროსპექტი, № 24 მეორე სართული

რედაქციაში საქმისთვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმე დღეებისა 2-დან 3 საათამდე
ტელეფ. ნომრები რედაქტორის 14—76
მდივანი 10—58

მთავარი კანტორა: ტფილისი, რუსთველის პრ. № 26 ტელეფ. 5—43

ხელის მოწერის თვიური ფასი: საქართველოში 1.800.000 მან. განცხადება 12 კაპ. ჩერვონცებით ნონპარელის სტრიქონი. სამგლოვიარო განცხადება 4 მანეთი ჩერვონცებით.

№ 156 სამშაბათი 10 ივლისი, 1923 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 75,000 მან. № 156

დღიური

— რომის პაპა გამოვიდა ახალი წინადადებით საკონტრიბუციო საკითხის შესახებ. ის ადასტურებს მოკავშირეების [illegible] რურის ოკუპაციაზე

— მოკავშირეები იწვევენ საბჭოთა რუსეთს ლოზანაში სრუტეების საკითხის გამოსარკვევად.

— საფრანგეთმა ლოზანაში უკან წაიღო ყველა თავისი ფინანსიური მოთხოვნილებანი.

— ინგლისში ნავთსადგურის მუშაკთა გაფიცვები ფართო ხასიათს ღებულობს.

საქართველოს კომპარტიის ტფილისის კომიტეტი წინადადებას იძლევა პარასკევს, 13 ივლისს

ერთიან პარტიულ დღეს

დასმულ იქნეს დღის წესრიგში საკითხი: პრაქტიკული განხორციელება ამიერ-კავკასიაში რუსეთის კომპარტიის მე-12 ყრილობის დადგენილების ეროვნულ საკითხის შესახებ. პასუხისმგებელ ხელმძღვანელებისათვის და უჯრედების მიერ გამოყოფილ მომხსენებლებისათვის მოწყობილი იქნება სპეციალური საინსტრუქციო მოხსენება. როგორც მასალა ამ საკითხის შესახებ ისარგებლეთ; 1) მე-12 ყრილობის რეზოლიუციით ეროვნულ საკითხის შესახებ. 2) ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის და საქართველოს კომპარტიის ცეკას დადგენილებით. მასალები მიიღეთ რაიკომებში.

ტფილისის კომიტეტის მდივნის მაგიერ: რუბენი

მენშევიკების „მოღვაწეობის“ ბნელი კუნჭულები

როცა მენშევიკური პარტია განიცდის თავის სამარცხვინო არსებობის უკანასკნელ დღეებს, როცა ამ პარტიას ერთხელ და სამუდამოდ ასაფლავებენ თვით მისი გამოფხიზლებული ყოფილი წევრები,—საჭიროა მისი ყოველ მხრივ დახასიათება, მისი მოქმედების ყოველი ბნელი კუნჭულის გამოფენა დღის სინათლეზე.

ამ დღეებში ჩვენს გაზეთში დაიბეჭდა მენშევიკური ჯარის ყოფილ ოფიცრის წერილი, რომელიც შეეხება მენშევიკების სამხედრო ორგანიზაციას მათი ბატონობის დროს და ამ პოლიტიკას, რომელსაც ისინი მაშინ ადგნენ და დღეს მისდევენ კერძოდ ოფიცრობის მიმართ.

ჩვენ საჭიროდ მიგვაჩნია შევაჩეროთ მკითხველის ყურადღება მენშევიკების „მოღვაწეობის“ ამ მხარეზე.

როგორც ვიცით, მენშევიკებს ჰყავდათ ორნაირი სამხედრო ძალა: რეგულარული ჯარი და ე. წ. სახალხო გვარდია.

მენშევიკები მუდმივ ომებს აწარმოებდნენ მეზობელ ხალხებთან, და ისინი ცდილობდნენ დიდ-ძალი შეიარაღებული ძალის შექმნას.

ამ ომებით და ნაციონალური პოლიტიკით მათ განადგურებამდე მიიყვანეს ჩვენი ქვეყანა და შუღლი-მტრობა დასთესეს ხალხთა შორის.

მაგრამ ამჟამად ჩვენთვის უფრო საინტერესოა იმის გამორკვევა, თუ რად დასჭირდათ მათ ორმაგი სამხედრო ორგანიზაციის შექმნა. რა დამოკიდებულება იყო ჯარსა და „სახალხო“ გვარდიას შორის, რა როლს ასრულებდა გვარდია მენშევიკურ საქართველოში.

მენშევიკების „სახალხო“, ან უკეთ [illegible] გვარდიას განსაკუთრებული ამოცანები ჰქონდა დაკისრებული. ეს გვარდია იყო ის ძალა, რომელიც იცავდა მენშევიკებს და მათ „დემოკრატიულ“ წყობილებას აჯანყებული მუშებისა და გლეხებისაგან. მენშევიკების ბატონობა ემყარებოდა გვარდიის ხიშტებზე.

[illegible] მენშევიკებმა თავიანთი გვარდია მონათლეს რევოლიუციის მონაპოვართა დამცველად. მაგრამ ეს სახელწოდება სრულიად შეუსაბამოა საგნის შინაარსთან, ეს გამასხარავებაა რევოლიუციის სახელის. ნამდვილად კი გვარდია იყო მესაფლავე რევოლიუციის და ჯალათი მშრომელი ხალხის.

მენშევიკების ბატონობის მთელი განმავლობაში გვარდია ამ როლს ასრულებდა ისეთი ენერგიით და მონდომებით, რომელიც ღირსია [illegible] გამოყენების.

გვარდიელების მიერ განგმირული [illegible]ებული რევოლიუციონურ გლე[illegible] უმანკო სისხლით მორწყულია [illegible] ჩვენი ქვეყანა.

მაგრამ ისინი არა მარტო ახრჩობდნენ სისხლის მორევში მშრომელთა აჯანყებებს: ამავე დროს ისინი იყვნენ ხალხის მძარცველნი, [illegible] ღირსების შემლახველნი, ფეხ- [illegible] გამთელნი.

[illegible] შორის, ვინც გაეცნო ჩვენს [illegible]ში, დუშეთის აჯანყების ხუ[illegible]ლის თავზე გამოქვეყნებულ, [illegible]ების მოგონებებს, ეცოდინება, [illegible] „საგმირო საქმეებს“ სჩადიოდ[illegible] გვარდიელები. გაჩხრეკის დროს [illegible] ართმევდნენ გლეხობას სარჩო-[illegible]ბელს, ყველაფერს, რაც თვალ-[illegible]უვიდოდათ და მოეწონებოდათ; [illegible] სცემდნენ გლეხებს, აუპატიუ-[illegible]ნენ დედა-კაცებს და ყოველ-[illegible] ამცირებდნენ აჯანყებულთ. [illegible] იყვნენ ისინი არა მარტო [illegible]ობის“, აჯანყების ჩაქრობის [illegible], არამედ ჩვეულებრივ დროსაც [illegible], ძარცვა-გლეჯა, ხალხის [illegible]ყოფა—ეს მათი ხელობა იყო. [illegible]ში ზარსა სცემდნენ მშვი-[illegible] მოსახლეობას, ხალხი გმი-[illegible]თი თავაშვებული და უხეში [illegible]ის გამო. გვარდიელები ნამ-[illegible] მოგვაგონებდნენ იოანე [illegible] „ოპრიჩნიკებს“. [illegible] იყო გამკითხავი, ხალხის [illegible] გვარდიის ძალადობისა და [illegible]ყოფისაგან. გვარდიელი „იმუნიტეტით“ სარგებლობდა [illegible] ზევით იდგა. „ერთ-[illegible] სამსახურისათვის“ მენშევი-[illegible] გვარდიას მიანიჭეს ფაქ-[illegible] განუსაზღვრელი უფლებები. [illegible] წარმოადგენდა სახელმწიფოს სახელმწიფოში; ის გადამწყვეტ როლს თამაშობდა სახელმწიფოს პოლიტიკაშიც. საქართველოში იყო დამყარებული „სახალხო“ გვარდიის დიქტატურა. სრულიად საფუძვლიანად ამბობს ზემოაღნიშნულ წერილის ავტორი, რომ „გვარდია და მისი შტაბი საქართველოში იყო ისეთი ძალა, რომელსაც სიტყვის შებრუნებას ვერავინ უბედავდა“.

ამასთან გვარდია დიდი ნივთიერი პრივილეგიებით სარგებლობდა. ის ყოველ მხრივ უზრუნველყოფილი იყო. ამავე დროს ჯარი უყურადღებოდ იყო მიტოვებული და დამცირებას განიცდიდა.

მენშევიკებს არ ჰქონდათ ნდობა საყოველთაო გაწვევით შედგენილ ჯარისადმი, რომელიც უმთავრესად მშრომელი ელემენტებისაგან შესდგებოდა. ისინი ალმაცერად უყურებდნენ მას და არც ზრუნავდნენ მის დაკმაყოფილებაზე.

ამ ნიადაგზე კიდეც ჰქონდა ადგილი დიდ ანტაგონიზმს ჯარსა და გვარდიას შორის.

გვარდია შესდგებოდა მუქთი ცხოვრების და ბნელი საქმეების მოყვარე ელემენტებისაგან, მათში ერია აგრეთვე ნაწილი მენშევიკების მიერ მოტყუებულ მუშებისა, რომელნიც მათგან ამ ბოლო დროს საბოლოოდ გაიმიჯნენ და რომელთაც დაგმეს თავიანთი წარსული.

აღსანიშნავია ხსენებულ წერილში ის ადგილიც, რომელიც ეხება მენშევიკების დამოკიდებულებას ოფიცრობისადმი.

მენშევიკურ სამხედრო ძალას ხელმძღვანელობდნენ მეფის ძველი ოფიცრები, აშკარა კონტრ-რევოლიუციონერები, მშრომელ ხალხის მოსისხლე მტრები.

ამასთან, წინედ, თავიანთი ბატონობის დროს, მენშევიკები ჯარის ოფიცრებისადმი დიდ უყურადღებობას იჩენდნენ. მას შემდეგ კი, საბჭოთა ხელისუფლების დროს, მათ დაუწყეს ოფიცრებს ცქერა „მოწყალე თვალით“. მათ მოიწადინეს ოფიცრების გამოყენება, მათი გადაქცევა იარაღად საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ; ამიტომ ისინი ცდილობენ ოფიცრების „გულის მონადირებას“, მათი მიმხრობას. ისინი ლამობენ მათი ჩაბმას თავიანთ კონტრ-რევოლიუციონურ მუშაობაში ეროვნული გრძნობის გაღიზიანებით, ან პირდაპირ მოქრთამვით და სხვა ათასგვარი ხრიკებით.

ოფიცრების ნაწილმა კარგად გაუშინჯა კბილი მენშევიკების ზრახვებს, და ის არ წამოეგო მათ ანკესზე.

თავის დროზე ჩვენ გამოქვეყნებული გვქონდა წითელ ჯარში მოსამსახურე, მენშევიკების დროინდელ ოფიცრების რეზოლიუცია, რომელშიც ისინი გმობდენ მენშევიკების ავანტიურას და აცხადებდნენ სურვილს მუშაობაზე საბჭოთა ხელისუფლებას და კერძოდ წითელი ჯარის განსამტკიცებლად. აქეთკენ მოუწოდებდენ ისინი დანარჩენ ოფიცრებსაც.

მაგრამ, სამწუხაროდ, აღმოჩნდნენ ისეთებიც, რომელნიც გაჰყვნენ მენშევიკებს და მათთან ერთად ჩაებნენ ბრძოლაში მუშურ-გლეხურ მთავრობის წინააღმდეგ. ასეთები აღმოჩნდნენ ზოგიერთი მათგანიც, რომელთაც საპასუხისმგებლო თანამდებობა ეჭირათ წითელ ჯარში და ერთგულების ფიცი ქონდათ დადებული. მათ ეს ფიცი გასტეხეს და უღალატეს მუშურ-გლეხურ სახელმწიფოს.

მაგრამ მათმა „მუშაობამ“ ვერ გასჭრა. მთავრობამ დროზე ალაგმა ეს მოღალატენი და კიდეც საკადრისად დასაჯა ისინი. ჩვენ ვლაპარაკობთ ე. წ. სამხედრო ცენტრის შესახებ.

ვფიქრობთ, რომ ეს გაკვეთილი ამაოდ არ ჩაივლის. მენშევიკების ვერაგული სახე საკმაოდ გამორკვეულია ყველასთვის, ვისაც მშრომელ ხალხთან ცოტა კავშირი მაინც აქვს, ვინც მოსურნეა ხალხის კეთილდღეობის.

მით უმეტეს ეხლა, როცა მენშევიკური პარტია აღსასრულის წინ იმყოფება, ვერავინ გაჰყვება მის ავანტიურისტულ გზას.

ამას მოითხოვს არა მარტო სიყვარული ხალხისადმი, არამედ უბრალო გონიერებაც.

დახმარება სასოფლო მეურნეობას

საბჭოთა ხელისუფლება უდიდეს ყურადღებას აქცევს სასოფლო-მეურნეობის განვითარებას; კერძოდ ამიერ-კავკასიაში, სხვათა შორის, ამის საუკეთესო მაჩვენებელია ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დეკრეტი, რომელიც დაიბეჭდა ჩვენი გაზეთის კვირის ნომერში.

დეკრეტი ამიერ-კავკასიის და რესპუბლიკანური სოფლის მეურნეობის და სასოფლო-სამეურნეო მრეწველობის დახმარების კომიტეტების მოწყობისა და სასოფლო-სამეურნეო კრედიტის საზოგადოებათა ორგანიზაციის შესახებ იმდენად მნიშვნელოვანი და საყურადღებოა, რომ ზედმეტი არ იქნება მკითხველების ყურადღება მასზე შევაჩეროთ.

ამიერ-კავკასიის სასოფლო-მეურნეობის დახმარების კომიტეტის საშვალებები დეკრეტის თანახმად შესდგება სპეციალური თანხებიდან, რომელსაც გადასდებს ერთის მხრივ საკავშირო ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და მეორე მხრივ ამიერ-კავკასიის ცენტრალმასკომი.

საერთო ფედერატიულ საშუალებიდან ამიერ-კავკასიის კომიტეტს სასოფლო მეურნეობის დახმარებისთვის და საკრედიტო საზოგადოებათა მოსაწყობად ძირითად კაპიტალათ 1923 წლისთვის ამ თავითვე გადაეცემა 700.000 მანეთი ოქროთი. დღევანდელ პირობებში ესეც საკმაო დიდი თანხაა, რომლითაც ბევრი რამეს გაკეთება შეიძლება სასოფლო-მეურნეობის აღორძინებისთვის. მაგრამ სასოფლო-მეურნეობის დახმარების კომიტეტებს შემოსავლის სხვა წყაროებიც ექნებათ; დეკრეტის მეექვსე მუხლი გულისხმობს საზოგადოების ძირითადი კაპიტალის შექმნას დამფუძნებელთა მიერ თავიანთი პაების შესყიდვით და გლეხთა პაების გამოშვებით. ამნაირად სოფლის მეურნეობის აღორძინება განვითარებისთვის შექმნილია რეალური ფინანსიური ბაზა, რომელიც დიდი მიზნის მიღწევის სრულ იმედს იძლევა.

აღსანიშნავია, რომ დეკრეტის მეშვიდე მუხლით ადგილებზე, პროვინციაში ცალკე საკრედიტო საზოგადოებათა დაარსება საჭიროთ არ არის ცნობილი. საერთაშორისო ომის დასაწყისამდე ამიერ-კავკასიაში და საქართველოში კერძოდ, საკრედიტო კოოპერაცია ცალკე, საერთო კოოპერაციისგან დამოუკიდებლათ არსებობდა სახელმწიფო ბანკების და მათ მიერ დანიშნულ ინსპექტორების ზედამხედველობის ქვეშ. მაგრამ ომის პირობებში და ფულის კურსის დაცემასთან ერთად ეს საზოგადოებები თანდათან ისპობოდენ და დღეს იშვიათად თუ კიდევ სადმე არსებობენ. მათი აღდგენა, როგორც არა ერთხელ იყო აღნიშნული ადგილობრივ პრესაში, დღევანდელ პირობებში სრულებით მიზანშეუწონელია. გლეხობისთვის დახმარების მისაწოდებლათ სრულებით ზედმეტია ადგილებზე ცალკე საკრედიტო საზოგადოებათა დაარსება მთელი შტატით და კანცელარიით.

გლეხობას დღეს ესჭირვება არა ბონები, რომლის კურსი მეტად მერყევია და უცვლელ ღირებულებას არ წარმოადგენს, არამედ ქალაქის სხვადასხვა ნაწარმოები, სამეურნეო იარაღები, სამუშაო საქონელი და სხვა.

მომხმარებელი საზოგადოებები, რომლებიც უკვე არსებობენ ადგილებზე და გაერთიანებული არიან ცეკავშირში, თავიდანვე ისახავდენ ამდაგვარი დახმარების მიწოდებას გლეხობისთვის, მაგრამ მეტ წილად მათ ხელს უშლიდათ უსახსრობა. დღეიდან კი მათი საშუალებით თვით სახელმწიფო კიდებს ამ საქმის მოწესრიგებას ხელს და უეჭველია მთავრობის ამ ნაბიჯს სიხარულით შეხვდება, როგორც გლეხობა, ისე კოოპერაციის მუშაკნი.

სასოფლო მეურნეობაში დაბანდებული კაპიტალის ანაზღაურება რამოდენიმე თვეში და ხშირად წლებშიც შეუძლებელია; მაგალითად გლეხმა გააშენა ვენახი, ის პირველ წლებში აქედან ვერავითარ შემოსავალს ვერ მიიღებს, მხოლოდ სამი წლის შემდეგ შეუძლია მას დაინახოს ნაყოფი თავის მუშაობისა. ასევე ითქმის მეურნეობის ზოგიერთ სხვა დარგებზედაც თქვენ რომ მას სესხი მისცეთ ორი სამი თვით, როგორც ამას ძველი საკრედიტო ამხანაგები სჩადიოდენ, ამით მნიშვნელოვან დახმარებას ვერ გაუწევთ. აუცილებლად საჭიროა გრძელ ვადიანი სესხის მიწოდება, დეკრეტი კიდეც ასე სწყვეტს საკითხს. დეკრეტის მეცხრე მუხლი ამბობს რომ სესხის გაცემა იწარმოებს ვადით არა უმეტეს სამი წლისა. სესხის გასტუმრება შეიძლება არა მარტო ფულით, არამედ ნატურითაც, სასოფლო მეურნეობის ნაწარმოებითაც.

აქაც, როგორც მთელ დეკრეტში, სავსებით დაცულია გლეხობის ინტერესები. კავშირი ქალაქის და სოფლის მუშათა შორის კიდევ უფრო მეტად განმტკიცდება ამ დეკრეტის ცხოვრებაში გატარებით.

ამიერ-კავკასიის გლეხობა, რომლის ეკონომიური მდგომარეობა საგრძნობლად გაუმჯობესდა ჩვენში საბჭოთა ხელისუფლების გამოცხადების შემდეგ, ამ დეკრეტით კიდევ ერთხელ დარწმუნდება, რომ საბჭოთა მთავრობა ეს მისი ინტერესების გამომხატველი მთავრობაა. გლეხობის სიმპატიები საბჭოთა მთავრობისადმი, რომელიც დღემდეც ძლიერი იყო, მომავალში კიდევ უფრო გაიზრდება და საბოლოოთ განმტკიცდება. მენშევიკური და სხვა კონტრ-რევოლიუციონური პარტიების ცდა დაბადონ უკმაყოფილება გლეხობაში ფუჭად ჩაივლის და ვერასოდეს ვერავითარ გამოძახილს ვერ იპოვის სოფლის მასებში.

გლეხობა ამიერიდან კიდევ უფრო მეტი გულმოდგინებით და ენერგიით შეუდგება აღმშენებლობითი მუშაობას და აიყვანს სასოფლო მეურნეობას იმ საფეხურზე, რომელიც წინ წასწევს როგორც თვით გლეხობის, ისე მუშურ-გლეხურ სახელმწიფოს ეკონომიურ მდგომარეობას.

შარშანდელმა მოსავალმა სწრაფად გამოასწორა საბჭოთა რესპუბლიკების მძიმე მდგომარეობა და ახალი მოსავალი კიდევ უფრო მეტ იმედებს იძლევა. განზრახულია 250.000 ვაგონი ხორბლეულის გატანა საზღვარგარეთ, რომ რუსეთის პურმა კვლავ დაიპყრას ევროპის ბაზარი. პურის ექსპორტი, საზღვარ-გარეთ გატანა და მისი ხელსაყრელ ფასებში გასაღება გლეხობის ინტერესების დასაცავად არის განზრახული. შემდეგ მორიგ ამოცანად გამოცხადებულია ძვირფას კულტურათა აღდგენა, როგორიცაა: მეაბრეშუმეობა, მებამბეობა მევენახეობა და სხვა. სწორედ ამ დარგების ასაწევად უაღრესად საჭირო იყო სასოფლო სამეურნეო კრედიტი, რომელმაც კანონმდებლობითი გამოხატულება ჰპოვა ამიერ-კავკასიის მთავრობის ზემოხსენებულ დეკრეტში.

სასოფლო-მეურნეობის აღორძინება განვითარებას ფართო პერსპექტივები ეშლება წინ, ამისთვის მტკიცე საფუძველია ჩაყრილი; საჭიროა მხოლოდ ადგილობრივ ამხანაგების და კოოპერატივების გაცხოველებული მუშაობა, რომ მიწასთან ერთად გლეხობამ მისი საუკეთესო დამუშავების და სარგებლობის საშუალებაც მიიღოს.

ი. ბ.

საბოლოო გაკოტრება

„პრავდა“-ს წერილი

მოსკოვი. 9 ივლისი. (დასაწყისი არაა მიღებული). ეხლა, როდესაც მენშევიკები არამც თუ საქმით, არამედ ფორმალურადაც გახდნენ აგენტები ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ ბლოკისა, რომელიც სოციალ-დემოკრატიის სახელით, გამოდის, ყველა ილიუზიები უნდა გაფანტულიყო. ის მენშევიკები, რომლებსაც კიდევ სწამდათ თავისი პარტიული ხაზის გამოსწორება, უკვე დარწმუნდნენ, რომ მენშევიზმი გამოუბრუნებლათ დალპა.

სრულიად რუსეთის პარტიული ყრილობა, რომელიც უკვე მოხდა და აგრეთვე მენშევიკების ყრილობა, რომელიც, ალბათ, მომავალში მოეწყობა, მატყუარა „დნი“-სა და „სოციალისტიჩესკი ვესტნიკ“-ის სიტყვით, ვითომც რუსეთის კომუნისტური პარტიის მოხერხებული იყოს.

ერთის მხრივ, შეიძლება, ეს მართალიც იყოს. დიაღ, რუსეთის კომუნისტური პარტია, რომელიც ხუთი წლის განმავლობაში სათავეში უდგას ერთად ერთს სოციალისტურ სახელმწიფოს, რომელსაც მისდევს არა მარტო რუსეთისა, არამედ საერთაშორისო პროლეტარიატის ავანგარდიც, რომელმაც გამოიჩინა განუზომელი ორგანიზაციული ნიჭი და უმაგალითო რევოლიუციონური აღფრთოვანება,—რა თქმა უნდა გავლენას იქონიებდა იმ გულწრფელ რევოლიუციონერებზე, რომლებიც შეიძლება იდეურად სცდებოდნენ, მაგრამ სოციალიზმის ინტერესებს მაინც ყველაზე მაღლა აყენებდნენ. ამ მოსაზრებით შეიძლება მართალი იყოს იმისი მტკიცება, რომ ესერების ყრილობა და მენშევიკების განზრახული ყრილობა—რუსეთის კომუნისტური პარტიის საქმეა. (ბოლო არაა მიღებული).

სრულიად რუსეთის ცენტრალური ალმასკომის სესია

მუშაობა ჯარში

მოსკოვი. 8 ივლისი. სრულიად რუსეთის ცენტრალურ ალმასკომის სესიამ მიიღო პროექტი სამაზრო საბჭოთა აპარატის გამარტივების შესახებ და დაავალა სრულიად რუსეთის ცაკის პრეზიდიუმს წარმოადგინოს შემდეგი სესიისათვის განსახილველათ დებულება საგუბერნიო სამმართველოების და ოლქების აპარატების გამარტივების შესახებ.

სესიამ მოიწონა ფინანსთა სახალხო კომისარიატის მუშაობა, რომელიც მიმართული იყო უნაყოფო ხარჯების მოსპობისაკენ, მომჭირნეობის გამტკიცებისაკენ და საგადასახადო საქმის მოწესრიგებისაკენ და აგრეთვე განსაზღვრა, აგვისტოდან დაწყებული, ემისია 15610 ოქროს მანეთით თვეში. ფინანსთა სახალხო კომისარიატს დაევალა თვალყური ადევნოს გაცემულ საშუალებების დანიშნულებისამებრ ხარჯვას, სანქცია უყოს მხოლოდ იმ ხარჯებს, რომელნიც აბსოლიუტურათ აუცილებელი არიან პირველ რიგის საჭიროებების დასაკმაყოფილებლათ, გააგრძელოს მუშაობა საგადასახადო სისტემის გასაუმჯობესებლად გადასახადების რიცხვის შემცირებისა და აკრეფის სისტემის გამარტივების საშუალებით, მოაწყოს დაკვირვებითი თვალყურის დევნება იმ თანხების გადაგზავნაზე, რომელნიც სახელმწიფოს მიერ გაცემული არიან სასოფლო-სამეურნეო კრედიტის საქმისათვის.

1923—24 წლის ბალანს გაკეთებული ბიუჯეტი შეტანილ უნდა იქნეს სრულიად რუსეთის ცენტრალურ ალმასკომის პრეზიდიუმში არა უგვიანეს 1-ლი დეკემბრისა.

სახალხო კომისართა საბჭოს დაევალა არა უგვიანეს 1-ლი ოქტომბრისა გაათანასწოროს ყველა დაწესებულებებსა და წარმოებებში, რომელნიც სახელმწიფო ადგილობრივ ბიუჯეტზე იმყოფებიან, შრომის ხელფასი ერთი სატარიფო ხარისხის და ერთი კუთხის მუშაკებისათვის.

სესიამ დაავალა სახალხო კომისართა საბჭოს და სრულიად რუსეთის ცენტრალურ ალმასკომის პრეზიდიუმს განიხილოს და დაამტკიცოს ერთი თვის განმავლობაში დეკრეტის პროექტი ადგილობრივ ფინანსების შესახებ, მისი მესამე სესიაში წარსადგენათ.

მიღებულია დებულება დისციპლინარულ სასამართლოების შესახებ და აგრეთვე დადგენილება რ. ს. ფ. ს. რ. კანონთა კოდექსში შესწორებებისა და დამატებების შეტანის წესის შესახებ.

სესიამ შესწორებები შეიტანა სისხლის სამართლის კოდექსში: გაუქმებულია ხანგრძლივობის უფლება იმ პირთა პასუხისგებაში მისაცემათ, რომელთაც პასუხისმგებელი თანამდებობები ეჭირათ მეფის წესწყობილების დროს და „ოხრანკას“ საიდუმლო აგენტურაში, ნებადართულია დანიშნულ იქნეს ციხეში დამწყვდევა ექვს თვეზე ნაკლები ვადით. სამღვთო სჯულის სწავლების აკრძალვა ეხება სახელმწიფო და კერძო სკოლებს და მხედველობაში არა აქვს კულტთან დაკავშირებული ჯგუფური მეცადინეობა სახლში.

სესიამ მიიღო სამოქალაქო პროცესუალური კოდექსი, რომელიც გატარებული იქნება ცხოვრებაში 1-ლი ენკენისთვიდან იმ დამატებით, რომ სასამართლოს გადასახადი არ უნდა გადაიხდეს მშრომელთ, რომელთაც საკმაო საშუალებები არა აქვთ. კანონში აღნიშნული უნდა იყოს შრომის ხელფასის მინიმუმი, რომელზედაც სამოქალაქო მომჩივნების საქმესთან დაკავშირებული არავითარი გადასახადი არ ვრცელდება. ავტონომიურ რესპუბლიკების ცაკებს და ავტონომიურ ოლქების ალმასკომებს, უფლება ენიჭებათ სრულიად რუსეთის ცენტრალურ ალმასკომის პრეზიდიუმის თანხმობით შესწორება შეიტანონ სამოქალაქო პროცესუალურ კოდექსში ადგილობრივ პირობებთან შეფარდებით.

სესიამ მიიღო კანონთა კოდექსი მიწის წიაღების შესახებ.

ამხ. ენუქიძის წინადადებით სესიამ დაადგინა გაუქმებულ იქნეს ეროვნებათა სახალხო კომისარიატი, რომლის ამოცანებსაც შეადგენდა ნაციონალურ რესპუბლიკების და ოლქების დაარსებისათვის ხელის შეწყობა, ცალკე ეროვნებების სპეციფიურ მოთხოვნილებების გამორკვევა და მათი ნაციონალური თვითშეგნების ამაღლება.

ეხლა ს. ს. რ. კავშირის კონსტიტუციის მიღებასთან დაკავშირებით ეროვნებების ამოცანა განხორციელებული იქნება ს. ს. რ. კავშირის სათანადო ორგანოების მიერ.

რ. ს. ფ. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭოში არჩეული არიან: სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარეთ—ამხ. ლენინი, სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეებათ—ამხ. ცურიუპა, ამხ. რიკოვი და ამხ. კამენევი, მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისრათ—ამხ. კისელიოვი, ს. მ. უ. ს. თავმჯდომარეთ—ამხ- ბოგდანოვი. შრომის სახალხო კომისრათ—ამხ. ბახუტოვი, სასურსათო სახალხო კომისრათ—ამხ. კალმანოვიჩი, ფინანსთა სახალხო კომსრათ—ამხ. ვლადიმიროვი, მიწად მოქმედების სახალხო კომისრათ—ამხ. ალექსი მირნოვი, შინაგან საქმეთა სახალხო კომისრათ—ამხ. ბელობოროდოვი, იუსტიციის სახალხო კომისრათ—ამხ. კურსკი, განათლების სახალხო კომისრათ—ამხ. ლუნაჩარსკი, ჯანმრთელობის სახალხო კომისრათ—ამხ. სემაშკო, სოციალურ უზრუნველყოფის სახალხო კომისრათ—ამხ. იაკოვენკო.

მთავრი პოლიტიკური სამმართველოს თავმჯდომარე დამტკიცებული იქნება სრულიად რუსეთის ცენტრალურ ალმასკომის პრეზიდიუმის მიერ.

ამხ. კალინინის საბოლოო სიტყვის შემდეგ, რომელმაც აღნიშნა სესიის მიერ სატყეო კოდექსისა და საბჭოთა აპარატის გამარტივების დებულების მიღების მნიშვნელობა, სრულიად რუსეთის ცენტრალურ ალმასკომის სესია დაიხურა.

რადიო-დეპეშები

(„ზაკროსტას“ ცნობები)

საკონტრიბუციო საკითხი

უთანხმოება საფრანგეთსა დ ვატიკანს შორის.

რომი. 8 ივლისი. დეპუტატთა პალატაში პაპის წერილის შესახებ პუანკარემ განაცხადა, რომ კარდინალ გასპარის მიერ საფრანგეთის ელჩისათვის რომში მიცემული განმარტებით, პაპა აღიარებს მოკავშირეების უფლებას გერმანიისგან გარანტიების მიღებაზე, მაგრამ საჭიროთ მიაჩნიათ გერმანიისაუვის დახმარების მიცემა მიუხედავათ ამისა, როგორც პუანკარემ განაცხადა, საფრანგეთის მთავრობა თუმცა პატივისცემით ეპყრობა პაპის ავტორიტეტს, მაგრამ ფიქრობს, რომ ვატიკანს რურის საქმეებში ჩარევის უფლება არ ქონდა. თუ პაპას წერილს არ ექნება პოლიტიკური შედეგები, მაშინ საჭირო არ იქნება საფრანგეთის ელჩის გამოწვევა ვატიკანიდან. არავის არა აქვს ნება წაართვას საფრანგეთს ის უფლებები, რომლებიც გამომდინარეობენ ვერსალის ხელშეკრულებიდან. როგორც კი გერმანია შესწყვეტს პასიურ წინააღმდეგობას და დაანახვებს საფრანგეთს კონტრიბუციის გადახდის სურვილს, დაიწყება რურის ევაკუაცია. პუანკარეს განცხადება ტაშმა დაფარა.

გაფიცვები ინგლისში

გაფიცვა

ლონდონი. 7 ივლ. ნავთსადგურის გაფიცულ მუშათა რიცხვი 60,000 უდრის. ტრანსპორტის მუშათა კავშირმა მიწერილობა დაუგზავნა მუშებს, რათა სამუშაოს დაუბრუნდნენ. კავშირი აცხადებს, რომ ეს გაფიცვა ზიანს აყენებს კოლექტიური ხელშეკრულებით მოპოვებულს უფლებებს. გაფიცვის მომხრე მუშები აცხადებენ, რომ კავშირის მოწერილობა დადგენილი იყო კავშირის განყოფილებებში მომხდარი კენჭის ყრით და არა საყოველთაო რეფერენდუმით. კავშირის მიერ დაგმობილი ლონდონის გაფიცვის კომიტეტი აცხადებს, რომ არავინ არ უნდა დაუბრუნდეს მუშაობას, სანამ ხელფასს დღეში 15 ნახ. შილინგამდე არ გაადიდებენ. კომიტეტის მდივანი აღნიშნავს: თითონ ფასების ინდექსის შემდგენელი მოხელეებიც აცხადებენ, რომ ამ ინდექსში უსწორ-მასწორობა არისო.

ნავთსადგურის მუშათა კავშირის მდივანი აცხადებს, რომ კონფლიქტებისათვის პასუხს აგებენ ტრედ-უნიონის გარეშე მყოფი ელემენტები.

გერმანიის ამბები

უმუშევარნი

ბერლინი. 7 ივლისი. უმუშევართა გაჭირვება დღითი დღე იზრდება. ბერლინში ჩამოვიდა რამდენიმე დელეგაცია უმუშევრებისა, რომელიც რეიხსტაგს წარუდგენს ეკონომიურ მოთხოვნილებებს.

გაფიცვა ბერლინში.

ბერლინი 7 ივლისი. გერმანელ მელითონეთა შორის მოხდა რეფერენდუმი, რომლის დროსაც გაფიცვის მომხრე აღმოჩნდა 9,000 კაცი, წინააღმდეგი კი 120,000. გაფიცვის კომიტეტმა დაადგინა ხელი შეუწყოს გაფიცვის თანდათანობით ზრდას.

ბერლინში გაფიცულთა 60 დიდი სამრეწველო, სადაც სულ ითვლება 90,000-დე მუშა. მთავრობა ჯერ არ ერევა გაფიცვაში. და მოლაპარაკებას განაგრძობს პროფკავშირთა ბელადებთან.

რურის ოლქის ოკუპაცია

დამნაშავე ოკუპანტები არიან.

ბერლინი. 9 ივლისი. საფრანგეთის და ბელგიის ელჩებმა ბერლინში მიმართეს გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს თხოვნით, რომ გერმანიის მთავრობამ საჯაროთ დაგმოს დიუისბურგში მომხდარი თავდასხმა და მიიღოს ზომები დამნაშავეთა აღმოსაჩენათ და დასასჯელათ. გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრმა როზენბერგმა ამის საპასუხოთ აცნობა ელჩებს, რომ გერმანიის მთავრობა არ მიიღებს არავითარ ზომებს, სანამ მას არ მიცემენ საშვალებას გამოარკვიოს საქმის ვითარება. გერმანიის მთავრობამ მომხდარი ამბების შესახებ გაიგო გაზეთებიდან და მოკლებულია საშუალებას მიიღოს საჭირო ცნობები მანამ, სანამ გერმანიის ადგილობრივ ადმინისტრაციას ხელს უშლიან თვით მოვალეობის შესრულებაში. გერმანიის მთავრობა კატეგორიულად აცხადებს უარს თავის თავზე პასუხისმგებლობის მიღებაზე, რადგან მისი ბრძანებები არის არა მიზეზი, არამედ შედეგი იმ წინააღმდეგობის, რომელსაც რეინლანდის მოსახლეობა უწევს ოკუპანტებს. გერმანიისათვის რურის არა კანონიერი ოკუპაციისათვის საფრანგეთ-ბელგიის ჯარების უსაზღვრო ტერორისათვის პასუხისმგებლობის დაკისრება—სინამდვილის დამახინჯება არის.

რეპრესიები.

პარიჟი. 8 ივლისი. ვიტენში საოკუპაციო მთავრობამ საალყო წესები გამოაცხადა. მანგეიმში დატუსაღებული ფრანგების განთავისუფლებამდი, დიუსელდორფში ყოველდღე დატუსაღებული იქნება ორი გერმანელი მოქალაქე. უკვე დაატუსაღეს 4 კაცი.

ლოზანას კონფერენცია

ანგორის მოთხოვნილებები.

პარიჟი. 9 ივლისი. ანგორის მთავრობამ განაცხადა, რომ ლოზანაში მოითხოვს კონცესიების საკითხის განხილვის გადადებას. თუ კონფერენციამ უარი სთქვა ამ მოთხოვნილების დაკმაყოფილებაზე, ოსმალეთის დელეგაცია დასტოვებს კონფერენციას.

საბჭოთა რუსეთის მიწვევა.

პარიჟი. 9 ივლისი. საბჭოთა მთავრობა მოწვეული იქნება სრუტეების შესახებ კონვენციაზე ხელის მოსაწერად.

საზავო ხელშეკრულებაზე ხელის მოწერა.

პარიჟი. 9 ივლისი. საზავო ხელშეკრულებას ხელს ამ დღეებში მოაწერენ.

საფრანგეთმა უკან წაიღო თავისი მოთხოვნილებები.

პარიჟი. 9 ივლისი. საფრანგეთმა უკან წაიღო ყველა თავისი ფინანსიური მოთხოვნილებები, რამაც ხელი შეუწყო შეთანხმების მიღწევას.

სხვადასხვა ამბები

იტალია.

რომი. 7 ივლისი. პარმში მომხდარ ამბების გამო მუსოლინის ბრძანებით ჯარი ჩააყენეს მუშათა უბნებში. პოლიცია ყველგან აწარმოებს ჩხრეკას და აუარებელ ხალხს აპატიმრებს.

სან-პიეტრო გრანოში უცნობებმა სროლა აუტეხეს ფაშისტებს. ამის საპასუხოდ ფაშისტებმა აიკლეს ლიბერალების ადგილობრივი კლუბი. პროლეტართა კლუბები ხომ ადრევე გაანადგურეს.

ბელგია

ბელგიის „პატრიოტების“ დემონსტრაცია.

პარიჟი. 9 ივლისი. ბრიუსელში გაიმართა საპროტესტო დემონსტრაცია, რომელიც მოაწყვეს პატრიოტულმა ორგანიზაციამ დიუგსბურგში მომხდარ თავდასხმის გამო.

წითელ რადიოგრამები:

რუსეთი

პურის ექსპორტი საზღვარ-გარეთ

მოსკოვი. 6 ივლ. რუსეთის კომპარტიის ცეკას მდივანის ამხ. სტალინის, სრულიად რუსეთის ცენტრალურ აღმასკომის თავმჯდომარის ამხ. კალინინის, სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის ამხ. კამენევის, სრულიად რუსეთის პროფკავშირთა საბჭოს თავმჯდომარის ამხ. ტომსკის და გზათა სახალხო კომისარის ამხ. მერეინსკის ხელმოწერით ყველა საგუბერნიო და საოლქო კომიტეტებს, აღმასკომებს, საოლქო საგუბერნიო ეკონომიურ თათბირებს, საგუბერნიო პროფესიონალურ საბჭოებს და გზათა სახალხო კომისარიატის რწმუნებულებს დაეგზავნათ ცირკულიარი, რომელშიაც წინადადება ეძლევათ მათ მიიღონ ყოველგვარი ზომები ტრანსპორტისათვის ხელის შესაწყობათ პურის საზღვარ-გათეთ ექსპორტის საქმეში.

რუსეთის პურმა, რომელმაც იმპერიალისტურ და სამოქალაქო ომის დროს დაჰკარგა საერთაშორისო ბაზარი, ეხლა ისევ უნდა დაიპყროს ის. 10 თვის განმავლობაში საზღვარ-გარეთ გატანილი უნდა იქნეს 250,000 ვაგონი პური. ამის წარმატებით შესრულებისათვის საჭიროა რკინის-გზებისათვის დახმარების გაწევა სარემონტო კამპანიის გატარებაში და აგრეთვე მინიმუმამდე უნდა იქნეს დაყვანილი პურის გადაზიდვისათვის გამოსადეგი ვაგონების დაქსაქსვა. ყველა აღნიშნულმა დაწესებულებებმა, იმ შემთხვევაში თუ მათ დახმარებისათვის მიმართავენ, ფართო დახმარება უნდა გაუწიონ ყოველის მხრივ: თვალყურის დევნების დაწესებით მტვირთველთა და ელევატორების სწორ მუშაობაზე, გეგმის თავის დროზე განხილვით სასურსათო გადასახადის შეგროვებისა და მისი რკინისგზის სადგურებისათვის მიზიდვის შესახებ, საკითხის დაკვირვებით გადამუშავებით პურის შეგროვებისა და დამზადების ტემპის შესახებ, განსაკუთრებით იქ, სადაც რკინის-გზებს არა აქვთ მოწყობილი, მეტად მნიშვნელოვანია ტომრების ტარის თავის დროზე დამზადების საკითხი. ყველა მიღებულ ღონისძიებათა და დადგენილებების შესახებ ეკონომიურმა თათბირებმა და აღნიშნულმა დაწესებულებებმა უნდა აცნობონ ცენტრს თავის მოხსენებებში.

ლატვია მოსკოვის გამოფენაზე

რიგა. 5 ივლ. ლატვია მოსკოვის გამოფენაზე აშენებს თავის პავილიონს. მუშაობისათვის გადადებულია 2 მილიონი ლატვიის მანეთი.

ახალგაზრდობის კომინტერნის მოწოდება

მოსკოვი. 6 ივლ. ახალგაზრდობის კომინტერნმა მოწოდებით მიმართა ყველა ქვეყნების ახალგაზრდებს, 2 ენკენისთვეს მოსალოდნელ ახალგაზრდობის მე-9-ე საერთაშორისო დღის შესახებ. კომინტერნი მოუწოდებს ყველა ახალგაზრდა მუშებს გაერთიანდენ მისი დროშის ქვეშ, მიუხედავად იმისა, რომელ მიმართულებას ეკუთვნიან ისინი.

ოდესის ნავთსადგურში

ოდესა. 4 ივლ. ამ დღეებში ოდესის ნავთსადგურში მოელიან ახალი გემების მოსვლას, რომელნიც ცენტრის მიერ გადაცემულია სახელმწიფო გემთა სამმართველოსათვის; ამ უკანასკნელის ტონაჟი ამის გამო გადიდდება 25,000 ტონით. ამ გემების მოსვლის შემდეგ დაწესებული იქნება რეისები ოდესსა-ჰამბურგსა და ოდესა-როტტერდამს შორის.

კოოპერაციის საერთაშორისო დღე

მოსკოვი. 8 ივლისი. ივლისის 7-ს ზიმინის თეატრში გაიმართა გაერთიანებული სხდომა ყველა დარგის კოოპერაციათა, პროფესიონალურ და პარტიულ ორგანიზაციათა წარმომადგენლებისა. სხდომის საგანს შეადგენდა საერთაშორისო კოოპერაციის დღე. **საპატიო თავმჯდომარეებად აირჩიეს: ამხ. ლენინი, ტროცკი, ზინოვიევი, კალინინი, კამენიევი და ხინჩუკი.** მისალმების დეპეშები გაეგზავნა ყველა ქვეყნების მშრომლებს, რომლებიც საერთაშორისო კოოპერატივებში არიან გაერთიანებულნი. ცენტრო-კავშირის გამგეობის წევრმა ამხ. ტიხომიროვმა განაცხადა, რომ რუსეთის ცენტრო-კავშირს თავისი თანხების ბრუნვით, მესამე ადგილი უჭირავს მთელს ევროპაში, მაგრამ ამ წლის დამლევს იგი დაიჭერს მეორე ადგილსო.

რუსეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სახელით მისასალმებელი სიტყვა წარმოსთქვა ამხ. კუიბიშევმა. მან აღნიშნა, რომ საერთაშორისო კოოპერაციის დღევანდელი დღესასწაული სწორედ იმ ჟამად გაიმართა, როდესაც რუსეთის

ყოფილ მენშევიკების კონფერენცია ქუთაისში

(საკუთარი კორესპონდენტისაგან)

ყოფილ მენშევიკების კონფერენცია გაიხსნა 8 ივნისს, ნაშუადღევის პირველ საათზე. დაესწრო სამასზე მეტი დელეგატი. პრეზიდიუმში არჩეული იქნენ: ჭუმბურიძე, შენგელია, კვიცარიძე, კორბალია, ჯიბლაძე, მამფორია, გალდავაძე, ქაჯაია, კალაძე. საპატიო თავმჯდომარეებათ—ლენინი, ცეტკინი, მარტინოვი, ზინოვიევი, მახარაძე, ცხაკაია და სხვები. დილით მოხდა კონფერენციის მხოლოდ საზეიმო გახსნა: მისასალმებელი სიტყვები წარმოსთქვეს ამხანაგებმა: მარტინოვმა, ლეჟავამ, სტურუამ, ბახტაძემ და სხვებმა. საღამოს სხდომაზე მოსმენილ იქნა მარტინოვის მოხსენება თემაზე: ბოლშევიზმი და მენშევიზმი. კონფერენციის გახსნას დელეგატები აღფრთოვანებით შეხვდენ და საერთოდ მუშაობა ნაყოფიერად მიმდინარეობს.

კოოპერატიულ მოძრაობაში უდიდესი გარდატეხა მოხდა; გამწვავებული პოლიტიკური ბრძოლის ხანამ განვლო და შესაძლებელი გახდა კერძოდ კოოპერატიული მოძრაობის ფართო განვითარება. ეს მით უფრო ეხლაა შესაძლებელი, როდესაც სახელმწიფო კაპიტალიზმის პირობებში კოოპერაციას ფართო გასაქანი ეძლევა განვითარებისათვის.

მისასალმებელი სიტყვებით გამოვიდნენ აგრეთვე წარმომადგენლნი კომინტერნისა, პროფინტერნისა, ბულგარეთის კოოპერაციისა და აღმოსავლეთ ინდოეთის მშრომელთა.

უფა. 8 ივლისი. უფაში დიდის ზეიმით იდღესასწაულეს საერთაშორისო კოოპერაციის დღე. გაიხსნა კოოპერატიული კლუბი. გამოიცა საგანგებო ჟურნალი.

უცხოეთის ცხოვრება

დიდი ბრიტანეთის საგარეო ვაჭრობა ევროპის გარეშე სახელმწიფოებთან.

დიდი ბრიტანეთის საგარეო ვაჭრობაში უმთავრესი ადგილი უჭირავს შეერთებულ შტატებს, რომლისაგან იმპორტი ინგლისში 1914 წლიდან 1923 წლის პირველ მეოთხედამდე გაიზარდა 43 443 ათ. გირ. სტერლინგიდან 59,458 გირ. სტერლინგამდე. მიუხედავათ იმპორტის ასე აბსოლიუტურად გადიდებისა, შეერთებული შტატების იმპორტის 67 პროცენტი ევროპის გარეშე სახელმწიფოებიდან (1914 წლიდან) დაეცა 59,8 პროცენტამდე (1922 წელს) და 52,2 პროცენტამდე 1923 წელს.

ექსპორტი შეერთებული შტატებში ინგლისიდან 10,261 (ათ. გირ. სტ.)დან გაიზარდა 16,242 (ათ. გირ. სტ.)-დე 1923 წელს და ამავე დროს ექსპორტის წილი შეერთებულ შტატებში შეადგენდა 1914 წელს 28,1 პროცენტს მთელი ექსპორტისა ევროპის გარეშე სახელმწიფოებიდან, 1923 წელს—29,7 პროც. და 1923 წელს—32,8 პროც. საგრძნობლად მატულობს არგენტინის მონაწილეობა, რომელსაც უკვე მეორე ადგილი უჭირავს ყველა ევროპის გარეშე სახელმწიფოებს შორის და ამავე დროს ადიდებს თავის იმპორტს ინგლისში 8337 ათ. გირ. სტერლინგიდან (1914 წელს) 18,526 ათ. გირ. სტერლინგამდე (1923 წელს). ხოლო ექსპორტი ინგლისიდან 5,209-დან გადიდდა 7,310 ათ. გირ. სტერლინგამდე.

რაც შეეხება დიდი-ბრიტანეთის საგარეო ვაჭრობის ბრიტანეთის ახალშენებთან, გაზიდვა კანადიდან დიდ-ბრიტანეთში 4,854 ათ. გირ. სტერლინ. (1914 წელს) გაიზარდა 9,765 ათ. გირ. სტერლინგამდე (1923 წელს) ესე იგი გაიზარდა ორჯერ, ხოლო დიდი-ბრიტანეთის ექსპორტი კანადაში გაიზარდა 4,954 ათას გირვანქიდან (1914 წ.) 6 658 ათ. გირ. სტერლინგამდე (1923 წ.) ესე იგი 1 ნახ. ჯერ. ამავე დროს იმპორტი ავსტრალიიდან 12,405 ათ. გირ. სტერ. (1914 წ.) გაიზარდა 19,123 ათ. გირ. სტერლინგამდე (1923 წ.), ესე იგი 1 ნახ. ჯერ. ასევე გაიზარდა ექსპორტიც ავსტრალიაში (19384 დან 15,566 ათ. გირ. სტერლინგამდე), განსაკუთრებული ადგილი ინგლისის საგარეო ვაჭრობაში უჭირავს ინდოეთს იმის გამო, რომ ექსპორტი დიდი-ბრიტანეთიდან ინდოეთში (24 398 ათ. გირ. სტერ.) აღემატება იმპორტს ინდოეთიდან (21,534 ათ. გირ. სტ.) და შეადგენს ამავე დროს დიდი-ბრიტანეთიდან ყველა ახალშენებში გაზიდვის მესამედზე მეტს.

1914 წელს იმპორტის მიხედვით ევროპის სახელმწიფოებს ეჭირათ პირველი ადგილი, მეორე—ევროპის გარეშე სახელმწიფოებს, ხოლო შემდეგი ბრიტანეთის ახალშენებს. 1923 წელს კი პირველი ადგილი უჭირავთ ევროპის გარეშე სახელმწიფოებს (მთელი იმპორტის 41,6 პროც.), ევროპის სახელმწიფოებს და ბრიტანეთის ახალშენებს უჭირავთ თითქმის თანაბარი ადგილი. ამავე დროს ევროპის გარეშე სახელმწიფოებს ინგლისის ექსპორტში ისეთივე ადგილი უჭირავთ, როგორიც 1914 წელს.

ამიერ კავკასიის ფედერაციაში

აზერბეჯანი

კოოპერაციის ზრდა.

ბაქო. 1916 წელში აზერბეიჯანში იყო 23 კოოპერატივი, რომელთაგან 12 იყო ქალაქებში და 1 სოფელში. მიმდინარე წლის დასაწყისში ითვლებოდა 129 კოოპერატივი, რომელთაგან 70 ქალაქებში და 59 სოფლებში, ამ ჟამად ქალაქის კოოპერატივების რიცხვი შესამჩნევად შემცირდა იმის გამო, რომ მუშკოპების უმრავლესობა შეუერთდა ბაქოს კავშირს; ქალაქების კოოპერატივები აერთიანებენ 101 524 წევრს, სოფლის—29944 მეურნეობებს. საშუალოთ ქალაქის თვითეულ კოოპერატივზე მოდიოდა 1460 წევრი და 1885 არა წევრი.

სოფლის თვითეულ კოოპერატივის ირგვლივ გაერთიანებული იყო საშუალოთ 508 მეურნეობა; კოოპერაციის გარეშე რჩებოდა 6385 მეურნეობა—სხვანაირად რომ ვსთქვათ, აზერბეიჯანის სოფლები კოოპერაციის საშუალებით გაერთიანებულია მხოლოდ 7,3 პროც.-ით.

ამ რიგათ აზერბეიჯანში სჭარბობს ქალაქის კოოპერაცია, სასოფლო კოოპერაცია კი მეტად სუსტათ არის განვითარებული.

ამიერ-კავკასიის რკინის გზელთა მეოთხე ყრილობა

(მეორე სხდომა)

თავმჯდომარეობს ჩხეიძე.

მოხსენება ამხ. ორჯონიკიძის საერთაშორისო მდგომარეობაზე, მისი არყოფნის გამო, შემდეგი სხდომისთვის გადაიდვა. სიტყვა მოსახსენებლად ეძლევა კავშირის პრეზიდიუმის წევრს ამხ. ანდრეიჩიკს.

კავშირის მოქმედება.

ამ საანგარიშო წელს კავშირს ახალ პირობებში მოუხდა მუშაობა. სამოქალაქო ომის დროს ტრანსპორტი ხელს უწყობდა მშრომელთა მასსებს ომის წარმოებაში. ახლა ჩვენი ამოცანაა ქვეყნის ეკონომიური და კულტურული გაღონიერება. ახალ ეკონ. პოლიტიკამ მოითხოვა ჩვენგან ძველი სამოქმედო გეგმის შეცვლა.

საორგანიზაციო მუშაობა.

ჩვენმა მუშაობამ საორგანიზაციო სფეროში შესაფერი ნაყოფი გამოიღო. თუ წინად კრებებს ესწრებოდა 45 პროც.—50 პროცენტამდე, ამ ჟამად დამსწრეთა რაოდენობა ყველგან 75 პროცენტს აღწევს, ზოგან კი 100 პროცენტსაც.

გადახალისდა კავშირის ქვედა ორგანოები, რადგან წინანდელი რთული კონსტრუქცია რიგიან მუშაობას ხელს უშლიდა.

მომავალში ადგილკომებში მუშაობა კიდევ უფრო უნდა გაძლიერდეს. სხვა კავშირების მზგავსად, საჭიროა ჩვენც გადავიდეთ ინდივიდუალურ წევრობაზე, რომელიც ყველგან დიდ შედეგებს იძლევა.

სატარიფო პოლიტიკა.

რ. | გზის მუშა-მოსამსახურეთა ხელფასი შედარებით სხვა დარგის მოსამსახურეებთან მეტია, მაგრამ საქონლის მანეთის მერყეობის გამო, ჩვენი მუშა რეალურ ხელფასს მაინც ვერ ღებულობს. ამას აძლიერებს კიდევ ჯამაგირის დროზე გადაუხდელობა, რომელიც მომავალში აუცილებლად თავიდან უნდა იქნეს აცილებული. საერთოდ ჩვენი დარგის მუშათა ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესება დამოკიდებულია ქვეყნის საერთო ეკონომიურ-პოლიტიკურ გამაგრებაზე.

დამზღვევი კასები მუშაობდენ წარმატებით. ურთიერთ დახმარების კასის წევრად რკინისგზელთა 50 პროც. ითვლება.

კულტურული მუშაობა.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ჩვენი კავშირის კულტმუშაობა, რომლის შედეგიც არის ა. | კ. რკინის გზის ხაზზე 1500 სკოლის არსებობა, სადაც ათასობით სწავლა-განათლებას ღებულობენ რ. | გზის მუშაკთა ბავშვ ბი. თუ გავიხსენებთ, რომ დანგრეული ჩავიბარეთ სახ. გან. კომისარიატიდან სკოლები, დღევანდელი მდგომარეობა სავსებით დამაკმაყოფილებლად უნდა ჩაითვალოს. ჩვენ აზრად გვაქვს ამიერიდან სკოლები გადავცეთ გან. სახ. კომ., რომლის დასახმარებლად ამ სფეროში მოქმედების დროს რკინის გზას ექნება თავისი სპეციალური ორგანოები. კავშირმა თავის შემოქმედებით მუშაობაში აუცილებლად უნდა მიიზიდოს კომუნისტური ახალგაზრდობა.

ამხ. გინსბურგის მოხსენების შემდეგ რუსეთის პროფკავშირთა ა. კ. ბიუროს მოქმედების შესახებ—**რკინის გზის კავშირის საბჭოს** მოქმედების შესახებ მოხსენებას აკეთებს ამხ. ჩხეიძე.

ამხ. ჩხეიძე აკეთებს მოკლე მიმოხილვას კავშირის მუშაობისას, რადგან ვრცელი ანგარიში,ცალკე წიგნად გამოცემული,დაურიგდათ დელეგატებს სხვა და სხვა მიზნების გამო კავშირის პრეზიდიუმის შემადგენლობა არ ყოფილა ურყევი, რაც მუშაობის ნაყოფიერებაზე მოქმედებდა. მთავარ სახელმძღვანელო პრინციპად პრეზიდიუმმა გამოიყენა სრ. რუსეთის პროფკავშირთა საბჭოს და რკინის გზელთა ყრილობების დადგენილებანი. სატარიფო პოლიტიკაში ჩვენ ვერ განვახორციელეთ დასახული მიზანი იმიტომ, რომ სამმართველოს ამისთვის საკმაო სახსარი არ აღმოაჩნდა, ჩვენ ვცადეთ რკინის გზის შემოსავლის გადასინჯვა და დავრწმუნდით,რომ იგი შემოსავალი საკმაო არ არის. კავშირი ბრძოლას აწარმოებდა რკინის გზის ხაზზე და სამმართველოში არსებულ ბოროტმოქმედებასთან: მექრთამეობასთან, ქონების გატაცებასთან და სხვა. შემდეგ მომხსენებელი ეხება წარმოების ნაყოფიერებას და სტატისტიკური ცნობებით ამტკიცებს, რომ ნაყოფიერებამ წარმოებაში ომის წინანდელ საზღვარს მიაღწია.

თანამომხსენებლათ ამხ. ჩხეიძის შემდეგ ამოვიდა ამხ. ლეჟავა, რომელმაც ახალი ცნობებით შეავსო ამხ. ჩხეიძისა და ანდრონიკაშვილის მოხსენებები.

მესამე სხდომა.

იმართება კამათი ამხ. ჩხეიძის და ამხ. ლეჟავას მოხსენებათა შესახებ. კამათის დასრულების შემდეგ სარევიზიო კომისიის მუშაობაზე მოხსენებას აკეთებს ამხ. ბელუჯევი.

ბელუჯევის მოხსენების შემდეგ საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ მოხსენების გასაკეთებლად სიტყვა ეძლევა ამხ. ს. ორჯონიკიძეს, რომელსაც ყრილობა ოვაციებს უმართავს.

მენშევიკური პარტიის ყოფილი წევრების კონფერენცია

(პირველ რაიონში *)

ამხ. ლუკაშევიჩის სიტყვა

ლუკაშევიჩი. ამხანაგებო, კითხვა, რომელიც დგას ჩვენს დღევანდელ დღის წესრიგში, არის შედეგი იმ ბრძოლის, რომელმაც დაბადა მუშათა კლასში ის არევ-დარევა, რომლის წყალობით მისი ნაწილი დაადგა უსწორ-მასწორ გზას, და დღეს ჩვენ აქ არ მოგვიყრია თავი და ვკარგავთ ძვირფასს დროს, რომელიც შეგვეძლო მოგვეხმარა პროლეტარულ აღმშენებლობაზე,—რათა გამოვიტანოთ გადაჭრილი და საბოლოო სიტყვა იმ პარტიის შესახებ, რომელსაც ჩვენ ვეკუთვნოდით.

ჩვენ ვიყავით მენშევიკური პარტიის პირველი რაიონის ორგანიზაციის ხელმძღვანელები; არა ერთი თქვენთაგანი ყოფილა როგორც კატორღაში, ისე ციმბირსა და ციხეში. ამიტომ სრული უფლება გვაქვს გამოვიტანოთ ჩვენი მსჯავრი ჩვენი ყოფილ მენშევიკურ პარტიაზე.

ამ პარტიის, მისი ლიდერების მოღალატეობამ განსაკუთრებით იჩინა თავი მას შემდეგ, რაც მუშათა კლასმა შეერთებული ძალით დაამხო თვითმპყრობელობა. ამის შემდეგ ჩვენ დავინახეთ, რომ მუშათა კლასის პარტია გაიყო ორ ნაწილად. ნიადაგი ამისათვის დიდი ხნიდან იყო მომზადებული.

მენშევიკური პარტიის გახრწნის მიზეზი ჩაქსოვილი იყო, სხვათა შორის, იმ ორგანიზაციულ წყობაში, რომელიც შემოღებულ იქნა ამ პარტიაში.

ბოლშევიკები ამბობდენ, რომ პარტიაში უნდა მივიღოთ მხოლოდ ნამდვილი მუშური ელემენტები, რომელნიც არამც და არამც არ უღალატებენ თავის ინტერესებს, რომელნიც უერყელად იმუშავებენ ამა თუ იმ ორგანიზაციაში და აასრულებენ ყველა პარტიულ ვალდებულებებს. არა მუშურ ელემენტს არ უნდა ჰქონდეს ადგილი პარტიაში, რადგანაც ისინი უღალატებენ მუშურ-გლეხურ ინტერესებს და მათ კლასიური ინსტინქტიც არა აქვთ. მენშევიკები კი პარტიაში უშვებდნენ ყველას, ვისი გამოყენებაც შესაძლებლად მიაჩნდათ, ამასთან პარტიის წევრებისათვის სავალდებულოდ არ სთვლიდნენ რომელიმე ორგანიზაციაზე მიწერას და მასში მუშაობას; აგრეთვე სხვა პარტმოვალეობათა ასრულებას.

ბოლოს ჩვენ დავინახეთ, თუ სანამდე მიგვიყვანა ამ ფართედ კარის გაღებამ.

ჩვენ დავინახეთ ცხოვრებაში, რომ ის ამხანაგები, რომლებმაც წამოაყენეს, რომ აუცილებლად უნდა იყოს ჩვენ პარტიაში უმთავრესად მუშური ელემენტები, ამ ამხანაგებმა ეს გაამართლეს.

შემდეგ მენშევიკები ამბობდენ, რომ დამფუძნებელი კრების და პარლამენტის გზით შეიძლება ისეთი წყობილება, რომელიც გამარჯვებამდე მიიყვანს მუშათა კლასსო. ბოლშევიკები კი ამტკიცებდნენ, რომ ამისათვის საჭიროა პროლეტარიატის დიქტატურა საბჭოების სახით.

ჩვენ თვალ-წინ გაიარა მთელმა ქარ-ბუქმა. დავინახეთ, რომ იმედი დამფუძნებელ კრებაზე, რომელშიაც შედიოდენ ქვეყნის სხვა და სხვა კლასები, სრულიად უსაფუძვლო იყო. იმ დროს, როცა შავი რეაქციის ძალები იარაღით ხელში იბრძოდენ ჩვენ წინააღმდეგ, ამ დროს ბაასი და პარლამენტარიზმი ყოვლად შეუძლებელია. ჩვენ დავინახეთ, რომ პროლეტარიატის დიქტატურამ, საბჭოთა სისტემამ მიაღწია იმას, რომ მუშათა კლასმა შეინარჩუნა ძალა-უფლება, დაამარცხა ძველი რეჟიმი და ჩაიგდო ხელში ის სიმდიდრე, რომელიც საჭირო იყო მისთვის თავის პოლიტიკურ ბატონობის განსამტკიცებლად.

აი, ამხანაგებო სერთოდ ის, რის თქმა მე მოვახერხე ჩემი მუშური ენით.

რაც შეეხება მთლიან მოხსენებას საერთაშორისო მდგომარეობის და მენშევიზმ-ბოლშევიზმის ურთი-ერთი დამოკიდებულების შესახებ, ამაზე უფრო კარგათ და ვრცლად გადმოგცემთ რუსეთის სოციალ-დემოკრატიის ერთ-ერთი დამაარსებელი და მამათ-მთავარი ამხ. მარტინოვი. მე გადმოგცემთ მხოლოდ იმას, რაც შემიძლია.

ჩვენ 1917 წლამდე და შემდეგაც პირნათლად ვასრულებდით დავალებას ჩვენი ამხანაგებისას. ეს დავალება ჩვენ მუშათა კლასისათვის სასარგებლოდ მიგვაჩნდა მაშინ. როცა 21 წელს საქართველოში დამყარდა საბჭოთა წყობილება, ჩვენ, მენშევიკური პარტიის წევრებმა, დავადგინეთ, რომ უნდა იქნეს მოწვეული ყრილობა. ჩვენ ამისათვის მოვიყარეთ თავი ოპერის თეატრში და იქ იყო გაკეთებული მოხსენება, მგონია, დევდარიანის მიერ, რომელმაც გახსნა ყრილობა. აქ გამოტანილია შემდეგი დადგენილება: ჩვენ ვემორჩილებით საბჭოთა ხელისუფლებას და ვდგევართ მის პლატფორმაზე, მხოლოდ ვითხოვთ ლეგალიზაციას. თუ ეს არ მოგვეცემა, ჩვენ არა ლეგალურ მუშაობას საბჭოთა მთავრობის წინააღმდეგ არ დავიწყებთო. დაგმობილი იყო ეს არა ლეგალური მუშაობა. მაგრამ შემდეგ რას ვხედავთ. მენშევიკების მეთაურები განუწყვეტელ ბრძოლას აწარმოებენ მუშურ-გლეხური ხელისუფლების წინააღმდეგ. ჩვენ ავწონ დავწონეთ საბჭოთა ხელისუფლების მოქმედება, და გულწრფელად და სრული შეგნებით ვაცხადებთ, რომ სავსებით ვტოვებთ იმ პარტიას, რომელსაც ვეკუთვნოდით და ვგმობთ მის პოლიტიკას. ჩვენ ამას ვაცხადებთ ორი წლის შემდეგ, ანალიზს უკეთებთ მართვა-გამგეობას საბჭოებისას და გამოვდივართ პარტიიდან.

მაგრამ ამ დროს დგება მენშევიკური პარტიის ცეკა, რომელიც თავის თავს თვითონ ირჩევს და რომელსაც არ ირჩევს ის მამოძრავებელი ძალა, რომელიც ჩვენს რაიონში იყო. ვინ აირჩია ეს ცეკა? ვინ არის ის, ვინც სთვლის თავის თავს ცეკად და აქვეყნებს ფურცელს, რომელიც ყოვლად მიუღებელია იმ ამხანაგებისათვის, რომელთა წარმომადგენლები იმყოფებიან აქ.

დღევანდელ კონფერენციას მიუღებლათ მიაჩნია ის ბრალდება, რომელსაც აყენებს მენშევიკური ცეკა, ეს ბრალდება უკანონოა. ეს ბრალდება მუშებისათვის არ არის მისაღები. მუშათა კლასი თავის წინააღმდეგ პარტიას არ შექმნის. ბრალდება იმათ შესახებ, ვინც გამოვიდა პარტიიდან: თქვენ ხართ ის ბალასტი, ზედმეტი, რომელიც ჩვენთვის სასარგებლოს არაფერს არ ქნიდით, ის ზედმეტი ბარგი, რომელიც მოღალატეა სამშობლოსი და პარტიის. ასეთი სიტყვებით გვიმასპინძლდებიან ცეკისტები. ეს ბრალდება ჩვენთვის მიუღებელია, სიტყვას „მოღალატე“ დიდი აწონ-დაწონა უნდა.

საბჭოთა სისტემის წინააღმდეგ ბრძოლა, ეს მუშათა კლასის ინტერესების ფეხქვეშ გათელვაა. გავიხსენოთ საბჭოების ის კრება, რომელზედაც მოხსენებლათ გამოვიდა ჟორდანია, რომელმაც [illegible] თქვა, რომ საბჭოთა სისტემის დამარცხება ნიშნავს მშრომელთა მთელი პოლიტიკური მოძრაობის დამარცხებას. და ჩვენ შეგვიძლია სავსებით შეგნებულათ ვსთქვათ, რომ ვინც იბრძვის საბჭოთა სისტემის წინააღმდეგ, ის მოღალატეა მშრომელთა კლასის. ამისათვის ამხანაგებო, ჩვენმა კონფერენციამ უნდა სთქვას მტკიცე სიტყვა, რომ ჩვენ ვიღაცა ვიგინდარა მუშები არ ვართ.

არა, ჩვენ ვართ ნამდვილი ორგანიზაცია ძველი მუშებისა, ცნობილი მუშებისა, რომელნიც ნიკოლოზის წესწყობილების დროს მუშაობდენ სარდაფებში. და ამ მუშებმა უნდა გასცენ საკადრისი პასუხი ცენტრალურ კომიტეტს.

მე გთხოვთ მხურვალე მონაწილეობა მიიღოთ ამ კონფერენციის მუშაობაში. თქვენ ძველი მუშები ხართ პირველ რაიონისა—აქ ხართ მუშები მთავარი სადგურიდან, დეპოდან, მთავარი სახელოსნოებიდან, სტამბიდან და ეს არის ნამდვილი მამოძრავებელი ძალა, რომელიც იყო სოციალ-დემოკრატიულ პარტიის პირველ რაიონის ორგანიზაციის დასაყრდენი ყოველთვის. ამიტომ ჩვენ უნდა გამოვსთქვათ ჩვენი უკანასკნელი სიტყვა.

ამხ. ხოჭრიაშვილის სიტყვა

ამხანაგებო, ჩვენი ამხანაგების სიტყვებიდან გარკვეული დასკვნა გამოვიტანეთ. ერთია ცხადი; ჩვენ, როგორც ყოფილი სოციალ-დემოკრატიულ პარტიის წევრები, დიდხანს ვადევნებდით თვალ-ყურს იმ მდგომარეობას, რომელიც შეიქმნა გადატრიალების შემდეგ; ყველასათვის ცხადია, რომ არც ერთ ძველ მუშას, რომელიც დღეს აქ მოსული არის, ასე ზეზეურათ, თავის პირადი მდგომარეობის გასაუმჯობესებლად კი არ გამოუცხადებია გაზეთში, რომ პარტიიდან გამოვდივართ. ცხადია, რომ ყოველი ჩვენგანი ღრმად დაუკვირდა ამას, დაუკვირდა როგორც პირადათ თავის მდგომარეობას, ისე საზოგადოდ მუშათა მდგომარეობას და დაინახა სულ სხვა რამ, ვინემ იყო მენშევიკების დროს.

ავიღოთ თებერვლის რევოლიუციის პირველი თვეები, როდესაც ჩურჩულით ვახარებდით ერთმანეთს, რომ მეფის მთავრობა გადააგდესო. ამან დიდი სიხარული გამოიწვია ჩვენში და როდესაც გვითხრეს, რომ შევიკრიბოთ და ავირჩიოთ საბჭოებიო, ჩვენ არც კი ვიცოდით, რა იყო ეს საბჭოები, მაგრამ როდესაც შევიკრიბენით, დავინახეთ, გული სიხარულით და სიამოვნებით აგვევსო. შემდეგ ამისა დაიწყო ჩვენი მუშაობაც—კრებები და ყრილობები. შემდეგ რას ვხედავთ. ვხედავთ, რომ საბჭოები თანდათან სუსტდებიან, კრებები ხდებოდა არა კვირაში ერთხელ, არამედ თვეში ერთხელ. შემდეგ ერთი თვის მაგივრათ კრებები ხდებოდა ექვს თვეში ერთხელ და ბოლოს და ბოლოს თითქოს ნაცარი გადაიყარა ცეცხლს, ისე გაქრა საბჭოთა კრებები. რაშია საქმე. ყველა მუშა სათითაოდ უკმაყოფილო იყო, ყველა რაღასაც ბურტყუნებდა, მაგრამ პირდაპირ აშკარად ვერაფერს ვერ ბედავდა.

მუშებმა დაამხეს თვითმპყრობელობა, დაარსეს საბჭოები, შემდეგ კი ისინი მოისპო. შესდგა ეგრედ წოდებული დამფუძნებელი კრება, სადაც „მაღალმა წრემ“ გაიმარჯვა. და თუ ქამარ-ხანჯალი გეკიდა წელზე და თავადი იყავი, ხმას ვერავინ გაგცემდა ეს გამოწვეული იყო იმით, რომ ძალა-უფლება გადავიდა არა მუშათა კლასის, არამედ იმ კლასის ხელში, რომელიც მუდამ თავზე აჯდა მას, და ბოლოს კიდევ დააჯდა. ეს ცხადია. მე ვიზიარებდი მენშევიკურ მოძღვრებას, მეჩვენებოდა ის მუშათა კლასის ინტერესების გამომხატველად, მაგრამ როდესაც სინამდვილეში იყო მისი განხორციელება, მაშინ ვნახე მისი სიყალბე. ჩვენ, მუშები, რომელთაც 20, 25 წლობით რევოლიუციონურ მუშაობა გვიწარმოებია, ნუ თუ დღეს, როდესაც ძალაუფლება მუშათა კლასის ხელშია, კიდევ უნდა დავრჩენილიყავით მოღალატე მენშევიკურ პარტიაში, ნუ თუ ახლა უნდა გავექცეთ ნამდვილ მუშურ ორგანიზაციას, კომუნისტურ პარტიას, და გარედან დავიწყოთ ყაყანი. ჩვენ უნდა ხელჩართულად ვიაროთ ერთი გზით მუშათა კლასის მდგომარეობის გაუმჯობესებისაკენ.

ჩვენ არა ეხლა, არამედ აქამდე გემართებდა, გვევლო რევოლიუციონურ მუშათა კლასთან ერთად ერთის გზით, ამიტომ, ამხანაგებო, ნაკლები ყურადღება უნდა მივაქციოთ მენშევიკური ცეკას განცხადებას; მოღალატეები ჩვენ კი არა ვართ, არამედ თვით ისინი არიან მოღალატეები, რადგანაც მათ დაივიწყეს მუშათა კლასი და ფეხ ქვეშ გასთელეს მისი ინტერესები. მე გეტყვით, ამხანაგებო უკანასკნელ სიტყვას, მენშევიკების ბატონობის დროს, ჩვენ მუშამოსამსახურეთა მიერ არჩეული და გაგზავნილი ვიყავით სასახლეში. იქ ჭიაბეროვმა წამოგვძახა: „დათვი საძაღლე გახდაო და მისი საქმე წახდაო“. ამნაირად, ამხანაგებო, მუშათა ამორჩეულები ძაღლებათ გაგვხადა. ჩვენ ამის წინააღმდეგ ხმა არ ამოგვიღია, რადგანაც შიში გვქონდა. ეს ბრალდება, მენშევიკური ცეკას მიერ წამოყენებული, მიუღებლათ მიგვაჩნია. მე ვამბობ, რომ საკმარისია ბოლო მოეღოს ამ თამაშს. ჩვენ, როგორც მუშის შვილები, მუშათა ორგანიზაციაში უნდა ვიმყოფებოდეთ და მასთან ხელი-ხელ ჩაკიდებული უნდა ვიაროთ ერთად.

---

*) კვირის №-ში ჩვენ გვქონდა გამოქვეყნებული პირველ რაიონის ყოფილ მენშევიკების კონფერენციის დეკლარაცია და ა. ფარნიევის სიტყვა. დღეს იბეჭდება ლუკაშევიჩის და ხოსროაშვილის სიტყვები. შემდეგ №-ში მოვათავსებთ დანარჩენ ორატორების სიტყვებს.

საბჭოთა რესპუბლიკების საერთაშორისო და შინაური მდგომარეობა

ამხ. ორჯონიკიძის მოხსენება ამიერ-კავკასიის რკინის გზელთა მეოთხე ყრილობაზე

ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების ბედი მტკიცედ არის დაკავშირებული ს. ს. რ. კ. ბედთან.

ამხანაგებო! დიდი საკითხია მოხსენება საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ. მე წინდაწინვე უნდა გითხრათ, რომ მოხსენებას საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ არ გავაკეთებ, მხოლოდ შევეცდები გაგაცნოთ თქვენ ის, თუ რა ხდება საერთოდ ჩვენი საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის გარშემო. მე არ დამჭირდება თქვენთვის იმის მტკიცება, რომ ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების ბედი მტკიცედ არის დაკავშირებული მთელი ს. ს. რ. კავშირის ბედთან. ჩვენი, ამიერ-კავკასიის რესპუბლიკის ან მისი ცალკე შემადგენელი ნაწილების საერთაშორისო მდგომარეობა სავსებით და მთლიანად დამოკიდებულია მთელი ჩვენი კავშირის საერთაშორისო მდგომარეობაზე. არავისთვის, არც ჩვენი მტრებისათვის და არც ჩვენი მეგობრებისათვის საიდუმლოებას არ შეადგენს, რომ სოციალური რევოლიუციის კერა არის რუსეთი და თუ სურთ საბჭოთა რესპუბლიკებისათვის მახვილის ჩაცემა, ამ მახვილს პირველ ყოვლისა მიმართავენ მოსკოვისკენ, რადგან თითქმის ჩვენი მტერისათვის აშკარა და გასაგებია, რომ თუ კისერს მოუგრეხენ საბჭოთა რუსეთს, დანარჩენი საბჭოთა რესპუბლიკები დაეცემიან თავის თავად. ამიტომ, ამხანაგებო, მე მოკლეთ გაგაცნობთ თქვენ თუ როგორ მდგომარეობაში იმყოფება ეს მსოფლიო რევოლიუციის კერა—საბჭოთა რუსეთი,—ეს საფუძველი ჩვენი კავშირისა.

კერზონის პროვოკაცია.

თქვენ, ამხანაგებო, იცით, რომ ერთი თუ ერთნახევარი თვის წინათ, ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრმა, ბატონმა კერზონმა, ინგლისის მთავრობამ საბჭოთა რუსეთს წარუდგინა ულტიმატუმი. ათ დღიანი ულტიმატუმი. ამ ულტიმატუმის შინაარსი თქვენ იცით. მე მასზე არ შევჩერდები. თქვენ იცით თუ რა სერიოზული მოთხოვნილებები, თუ რა სერიოზული ბრალდებები იყო წამოყენებული. მაგრამ დასკვნა, რომელსაც აკეთებდენ თუ ჩვენ არ შევასრულებდით ამ მოთხოვნილებებს, იყო საშინელი—ის თავდებოდა სავაჭრო ხელშეკრულების გაუქმებით, ომის მუქარით. იყო თუ არა ისეთი მიზეზები, ისეთი მოთხოვნილებები, რომლებიც მოითხოვდენ ამას. რასაკვირველია, ამხანაგებო, არც ვილაც ინგლისელი ჯაშუშის დევისონის დახვრეტა, ისიც 19 ში თუ 20 წელში, არც ის, რომ ვილაც ჯაშუში ქალი ჩასვეს ციხეში, არც ის, რომ ავღანისტანში ან სპარსეთში ჩვენმა დიპლომატებმა უპატივცემლოდ მოიხსენიეს ინგლისი და არ მოიწონეს ინგლისის პოლიტიკა ახალშენებში ვერ იქნებოდა საბაბი ასეთი მუქარისათვის. ნათელია, რომ კერზონს ამ ულტიმატუმის წარმოდგენის დროს სულ სხვა რაღაცას იმედი ჰქონდა, სახელდობრ მას უნდოდა გამოვეწვიეთ ჩვენ ომზე, ურთიერთობის გაწყვეტაზე. კერზონი ფიქრობდა, რომ რადგან მსოფლიო რევოლიუციის მესაჭე ამხ. ლენინი ავად არის და ის აღარ უდგას სათავეში ხელისუფლებას, დანარჩენები დაიბნევიან და თავის თავზედურ გამოწვევაზე კერზონი მიიღებს ისეთ პასუხს, რომელიც საშვალებას მისცემს მას საქვეყნოდ იყვიროს, რომ საბჭოთა რესპუბლიკები ემზადებიან ომისათვის, არაფერს არ უწევენ ანგარიშს და ამზადებენ თავის ჯარს ევროპაზე შესტევისათვის. თქვენ კი ამხანაგებო იცით, რომ მთელი საზღვარგარეთელი თეთრგვარდიელი ნაძირალები, დაწყებული მენშევიკებით და გათავებული მუსავატისტებით, დაშნაკელებით და ვრანგელის მომხრეებით, ერთხმად გაიძახიან, რომ იქ საბჭოთა რესპუბლიკებში ზადდება ჯარი ევროპაზე თავდასასხმელათ, ევროპის ისეთ „ბარბაროსულ“ ქვეყნად გადასაქცევათ, როგორიც არის საბჭოთა რუსეთი. რასაკვირველია, კერზონმა მშვენივრათ იცის თუ რამდენათ ვემზადებით ჩვენ ომისათვის ან მზად ვართ მისთვის. მან მშვენივრად იცის შეგვიძლია თუ არა ჩვენ ევროპაზე თავდასხმა და მისი დაპყრობა. მაშ რაშია საქმე, რათ სდგამს კერზონი ასეთ ნაბიჯს.

ევროპა ნგრევის პროცესშია.

ევროპა ახლა, ამხანაგებო, მეტად მერყევ მდგომარეობას განიცდის. რურის ოკუპაცია—ეს არის ევროპის კაპიტალისტური ქვეყნების ახლანდელი მდგომარეობის უსუსურობის დემონსტრაცია. ვერსალის ხელშეკრულების საფუძველზე სურდათ წონასწორობა დაემყარებიათ ევროპაში. გამარჯვებულ ანტანტას სურდა თავის ხელში აეღო მსოფლიოს ხელმძღვანელობა, მაგრამ რა გამოვიდა... გამოვიდა ის, რომ ზავის, ურყევი მდგომარეობის ნაცვლად ჩვენ ვხედავთ საფრანგეთს, რომელიც ასეულ ათას ჯარისკაცს გზავნის რურის ოლქში და ანადგურებს მსოფლიოში ერთ უგანათლებულეს და უაღრესად განვითარებულ სახელმწიფოს—გერმანიას. რასაკვირველია, პუანკარესა და მის მეგობრებს შეუძლიათ სთქვან: დეე დაინგრეს გერმანიის საწარმოო ძალები, განა ეს ნიშნავს ევროპის კაპიტალისტური მეურნეობის დანგრევას? შეუძლია თუ არა ევროპას იარსებოს იმ გერმანიის გარეშე, რომელიც თანამედროვე მსოფლიო მეურნეობის პირველ რიგებში იდგა. რასაკვირველია, არა. თუ იმპერიალისტური ომის შემდეგ რუსეთის გამოსვლამ მსოფლიო მეურნეობიდან შექმნა მერყევი მდგომარეობა, გერმანიის საწარმოო ძალების დანგრევა ძირიანათ არყევს ევროპის მეურნეობას. გერმანიაში ახლა ოკუპანტებს უჭირავთ მისი საუკეთესო ნაწილი—რური, თუ გერმანიის მრეწველობას არ დაურჩა რურის ნახშირი, ის დაეცემა. საფრანგეთი განზრახ შვრება ამას, რომ გერმანია გადააქციოს კოლონიათ.

საფრანგეთის იმედები ფუჭია.

მაგრამ შესაძლებელია კი ასეთი განათლებული ერის, ასეთი დიდი ერის, რომელმაც ჩვენს ეპოქაში შექმნა უდიდესი ტეხნიკა და მეცნიერება—აფრიკის მზგავს კოლონიათ გადაქცევა? რასაკვირველია, ეს შეუძლებელია. თვით პუანკარეს არ სჯერა ეს. მას არ შეუძლია არ იცოდეს, რომ რურის ოლქის ოკუპაციით ის ვერ გამოასწორებს საფრანგეთის საერთო მდგომარეობას. შეუძლია თუ არა პუანკარეს გერმანიისაგან მიიღოს იმდენი, რომ პირველ რიგში დააკმაყოფილოს საფრანგეთის ბურჟუაზიის მადა, რასაკვირველია, არა. შეუძლია თუ არა მომავალ არჩევნებზე პუანკარე გამოვიდეს წინადადებით გადასახადების შემცირების შესახებ რურიდან მიღებული შემოსავლის ხარჯზე? შეუძლია თუ არა მმართველ ნაციონალურ ბლოკს პუანკარეს მეთაურობით დააკმაყოფილოს საფრანგეთის ხალხის ან ყოველ შემთხვევაში, საფრანგეთის ბურჟუაზიის მოთხოვნილებები რურიდან გამოტანილი ნახშირის ხარჯზე? რასაკვირველია, არა, რადგან რურის ოკუპაცია საფრანგეთს უფრო მეტი უჯდება, ვიდრე ის რურიდან იღებს.

პუანკარე კისერს მოიტეხს.

ეს მდგომარეობა აუცილებლათ ამზადებს ნაციონალური ბლოკის—პუანკარეს კაბინეტის დანგრევას. მაგრამ ვინ ჩაუდგება მაშინ სათავეში ხელისუფლებას საფრანგეთში. რა საკვირველია, არა ბოლშევიკები.

ეს ჩვენთვის ხელსაყრელია.

ხელისუფლებას სათავეში ჩაუდგებიან რადიკალები. ამ პარტიის ლიდერი მოქ. ერრიო დიდ აგიტაციას ეწევა საფრანგეთში საბჭოთა მთავრობის ცნობის სასარგებლოდ. თუ ეს პარტია ჩაუდგება სათავეში ხელისუფლებას, მაშინ, რასაკვირველია, ჩვენი მდგომარეობა მტკიცდება.

კერზონსაც პუანკარეს ბედი მოელის.

როგორია მდგომარეობა ინგლისში. კონსერვატორული პარტია, რომელიც სათავეში უდგას სახელმწიფოს და რომელსაც ხელმძღვანელობს თვით ის კერზონი, რომელმაც ვერ გაატარა თავისი ულტიმატუმი მხოლოდ იმიტომ, რომ ჩვენ არ წამოვეგეთ მის ანკესზე, დიდხანს ვერ იარსებებს.

ესეც ჩვენთვის სასარგებლო იქნება.

მუშათა პარტიის ჩადგომა სახელმწიფოს სათავეში ინგლისში აუცილებელია. და თუ ინგლისში შესდგა მაკდონალდის მთავრობა, ის ჩვენთან ბრძოლას ისე, როგორც კერზონი ვერ შესძლებს და ეს, რასაკვირველია, უფრო ამაგრებს ჩვენს მდგომარეობას.

მსოფლიო ბურჟუაზიას იმედი გაუცრუვდა.

ამას უნდა მიუმატოთ მსოფლიო ბურჟუაზიის იმედების დამსხვრევა, რომ ახალი ეკონომიური პოლიტიკა დაამარცხებს ბოლშევიზმს, მაგრამ განვლილი ორმა წელმა და საბჭოთა ხელისუფლება უფრო განმტკიცდა და გაძლიერდა.

ჩვენი მეურნეობა აღდგენის გზაზეა.

ჩვენმა დანგრეულმა მრეწველობამ სული ამოითქვა, ჩვენმა დანგრეულმა ტრანსპორტმა აღდგენა დაიწყო, ჩვენი სოფლის მეურნეობა აღორძინების გზაზეა—და ახლა, საბჭოთა ხელისუფლების არსებობის მეექვსე წელიწადს, ჩვენ უფრო ძლიერად ვგრძნობთ თავს, ვიდრე ოდესმე.

საუკეთესო აგიტატორი.

ჩვენი მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის აღდგენა და მუშებისა და გლეხების მდგომარეობის გაუმჯობესება საუკეთესო აგიტაცია არის საბჭოთა ხელისუფლების სასარგებლოდ მსოფლიო მასშტაბში. ვერავითარი აღგზნებული პროკლამაცია, ვერავითარი აღგზნებული სიტყვა ბრწყინვალე ორატორობა ვერ იქნება ისეთი აგიტატორი, როგორც ჩვენი ფაბრიკა-ქარხნების მილები, საიდანაც ბოლი ამოდის და ჩვენი ამხანაგი—მოსავალი. და ეს ჩვენი წინსვლა ქვეყნის ეკონომიური აღორძინების გზაზე მოსვენებას არ აძლევს კერზონს. ის ყოველნაირათ ცდილობს ჩაგვითრიოს ჩვენ რაიმე ავანტიურაში—პროვოკაციულად გამოგვიწვიოს ჩვენ საომრად. მაგრამ ჩვენი პასუხი არხი-მშვიდობიანი იყო. ჩვენი პასუხით ჩვენ ჯერ-ჯერობით ავიცილეთ კავშირის გაწყვეტის საფრთხე.

ამაო იმედები.

რასაკვირველია, ჩვენს მტრებს მენშევიკებს სურდათ, რომ ჩვენ ინგლისელებთან დაგვეწყო ომი. თქვენ, ამხანაგებო, გახსოვთ, რომ როცა თქვენ დემონსტრაციას ახდენდით კერზონის ნოტის წინააღმდეგ, მენშევიკები სიხარულით ცას ეწეოდენ და ამბობდენ: „დაიცადეთ ერთი-ორი დღე და თბილისის ქუჩებზე ისეირნებენ ინგლისელებიო“. რასაკვირველია, მათთვის ხელსაყრელია, რომ ჩვენ წამოვეგეთ კერზონის პროვოკაციის ანკესზე... ომი არ მოხდა, სავაჭრო ხელშეკრულება არ დარღვეულა, ბოიკოტი არ არის, ინტერვენცია არ არის... მაგრამ ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ ჩვენი მდგომარეობა იმდენათ მტკიცეა, რომ ჩვენ შეგვიძლია დამშვიდებული, გულხელდაკრეფილი ვიყოთ, რომ არავითარ შემთხვევაში არავითარი საფრთხე არ მოგველის... მენშევიკები, დაშნაკები, მუსავატისტები, ვრანგელი, დენიკინი და სხვა და სხვა ჯურის კონტრ-რევოლიუციონური არამზადები, რომლებიც საზღვარ-გარეთ იმყოფებიან, ყოველ წუთს მზად არიან ემსახურონ საერთაშორისო იმპერიალიზმს.

მე ვთქვი, რომ საუკეთესო აგიტატორი საბჭოთა ხელისუფლების სასარგებლოდ იქნება ქარხანა, რომელიც იმუშავებს, გლეხი, რომელიც პურს დაამუშავებს, რკინის-გზები და ორთქლმავლები. რამდენი მეტი იქნება ქარხნები, რამდენი მეტი პური დაითესება, რამდენ მეტ შპალს გამოვცვლით ჩვენს რკინის-გზებზე, მით უფრო და უფრო გავაძლიერებთ საბჭოთა რესპუბლიკების ძლევა-მოსილებას და უფრო და უფრო მჭერმეტყველი იქნება ჩვენი აგიტატორი საბჭოთა ხელისუფლების სასარგებლოთ მსოფლიო მასშტაბით. ჩვენი მტრები ცდილობენ ხელი შეუშალონ ამას.

მტრების ჭორები.

რას ლაპარაკობდენ ისინი. ლაპარაკობდენ, რომ ბოლშევიკები ბარბაროსები არიან, იციან მხოლოდ დანგრევა, დაანგრიეს მრეწველობა, დაანგრიეს სოფლის მეურნეობა, დაანგრიეს ხალხის მთელი მეურნეობა, მთელი ქვეყანა უდაბნოთ გადააქციეს, დახურეს ფაბრიკა-ქარხნები და სხვა. აი საბჭოთა ხელისუფლება, აი კომუნიზმის ნაყოფი, აი საბჭოთა წყობილება,—ეუბნებოდენ ისინი ევროპის მუშებსა და გლეხებს. სიმშილი, სიცივე, სილატაკე,—აი ოქტომბრის გადატრიალების ნაყოფი,—გსურთ ეს, მოახდინეთ გადატრიალება! მტრებს სურს ჩაგვიშალონ ჩვენი მუშაობა მეურნეობის აღსადგენათ, მაგრამ ჩვენ მთელი ენერგიით განვაგრძობთ მუშაობას.

ბურჟუაზია ვერ მისცემს ზავს ევროპას.

თანამედროვე ბურჟუაზიულ სამყაროს არ შეუძლია შექმნას ევროპაში მტკიცე მდგომარეობა, ის ვერ უზრუნველყოფს ზავს ერებისათვის.

მხოლოდ ს. ს. რ. კ. არის თავისუფალი იმპერიალისტური ზრახვებისაგან.

ერთად ერთი სახელმწიფო, რომელმაც იცის თუ რა სურს მას, ეს არის ჩვენი სახელმწიფო, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კავშირი. ეს სახელმწიფო არ ერევა არავითარ იმპერიალისტურ ავანტიურებში, ის თავისუფალია ყოველგვარი იმპერიალისტური ზრახვებისაგან. ის გაფაციცებით აშენებს საბჭოთა რესპუბლიკის მშრომელთა ცხოვრებას. ჩვენი პოლიტიკის დამოუკიდებლობა საშვალებას გვაძლევდა ჩვენ გამოვსულიყავით ყველა იმ რთულ მდგომარეობიდან, რომელშიც ჩვენ ვვარდებოდით 6 წლის განმავლობაში.

ჩვენი შინაური მდგომარეობა.

ავიღოთ ჩვენი შინაური მდგომარეობა, ჩვენ უნდა ავღნიშნოთ, რომ თუ შარშან წინ ჩვენში იყო შიმშილი, წრეულს საზღვარ გარეთ გავიტანეთ 30 მილიონ ფუთამდე პური, წრევანდელი მოსავლის აღების შემდეგ კი იმედი გვაქვს, რომ გავიტანთ ორას მილიონ ფუთამდე.

რუსეთი იჭერს თავის ადგილს.

ეს იმას ამტკიცებს, რომ პურის ძველი მიმწოდებელი კვლავ გამოჩნდა თავის ადგილზე, მაგრამ არა ძველი რუსი მემამულის, არამედ ახლანდელი საბჭოთა რესპუბლიკის რუსი გლეხის სახით. და ეს, საზღვარ-გარეთ პურის გატანის ფაქტი საუკეთესო აგიტატორია ჩვენს სასარგებლოდ. როცა ბერლინში პირველათ გამოჩნდა რუსეთის ქერი, ამის შესახებ ალაპარაკდა ყველა გაზეთები, ახლა კი ჩვენ ვკითხულობთ, რომ შედეგები ჩვენს პურს უკეთესად თვლიან ვიდრე ამერიკულს. და მან, ვისაც სურს აგიტაცია აწარმოოს საბჭოთა ხელისუფლების სასარგებლოდ, ვისაც სურს უფრო ჩქარა გაამაგროს და განამტკიცოს საბჭოთა ხელისუფლების მდგომარეობა მთელ მსოფლიოში, უნდა აწარმოოს ასეთი ხასიათის აგიტაცია—შექმნას მეტი ღირებულებები შიგნით მოსახმარათ და საზღვარ გარეთ გასატანათ.

მუშები და გლეხები ჩვენს მხარეზე არიან

რომ შევხედოთ მუშებისა და გლეხების სულისკვეთებას, მაშინ არ იქნება საჭირო ამაზე დიდხანს ლაპარაკი. საბჭოთა კავშირის მთელ მანძილზე მუშები და გლეხები გადაჭრით საბჭოთა ხელისუფლების მხარეზე არიან. ის, ვინც იცის, როგორ მიმდინარეობდა მეთორმეტე ყრილობა, ის ვინც ხედავდა დიდი თეატრის დარბაზს, რომელიც სავსე იყო უპარტიო მუშებით, რომლებსაც რუსეთის ყოველი კუთხეებიდან მოჰქონდათ წითელი დროშები ყრილობისათვის გადასაცემათ, მან იცის თუ რა ასულდგმულებს მუშათა კლასს ამ ჟამად... ყველა ეს ამტკიცებს რუსეთის მუშებისა და გლეხების სულიერი განწყობილების სიმტკიცეს.

ჩვენ უზრუნველვყავით ნაციონალური ზავი ამიერ-კავკასიაში

ახლა ჩვენ გადავიდეთ ჩვენს ამიერ-კავკასიაზე, ჩვენს რესპუბლიკებზე. აქ პირველ ყოვლისა თვალში გვხვდება შემდეგი: ნაციონალური ზავი, ურომლისოდაც არ შეიძლება არც ერთი ნაბიჯის გადადგმა არც სოფლის მეურნეობაში, არც მრეწველობაში, არც ტრანსპორტში, მკვიდრ საფუძველზე დამყარებული.

ამიერ-კავკასიის მუშები ჩვენთან არიან

ავიღოთ თვით ჩვენი რკინის-გზელთა ყრილობა და შევადაროთ შარშანდელს, დავინახავთ, რომ ის არ გავს მას. იქ იყო სცენები, რომლებიც რამდენიმეთ მოგვაგონებდენ რომ მენშევიკებმა, დაშნაკებმა და მუსავატისტებმა შესძლეს ძლიერ მოეხმათ მუშების შეგნება. დღეს კი ჩვენ ვთქვით, რომ ამ ყრილობაზე ამის არ უნდა გვეშინოდეს, რადგან ამ ყრილობაზე შეიკრიბნენ სამივე რესპუბლიკების მუშები, გამსჭვალულნი ერთი იდეალით, ერთი ნებისყოფილობით—ძმური შეთანხმებული მუშაობით აღადგინონ ჩვენი ტრანსპორტი (ამ სიტყვებს ფარავს მხურვალე ტაში).

მენშევიკური პარტია მოკვდა

თქვენ იცით, ამხანაგებო, რომ საქართველოში ყველაზე უძლიერესი პარტია, პარტია, რომელიც მდგომარეობის ბატონ-პატრონი იყო ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით, იყო მენშევიკური პარტია; ეს ყველაზე შოვინისტური, ყველაზე ნაციონალისტური, ყველაზე უძლიერესი პარტია იყო ჩვენი მტერი... და რა მოხდა? ეს პარტია დღეს სრული ნგრევის და დაშლის პროცესშია და რაც ამ პარტიაში იყო კეთილშობილი პატიოსანი, წმინდა პროლეტარული და გლეხური გამოდის მისი რიგებიდან და წყევა-კრულვას უთვლის ამ პარტიის ბელადებს. ახლა პირველ რაიონში ხდება ამ რაიონის მუშების, ყოფილი მენშევიკების კონფერენცია. ეს მუშები, რომლებიც მენშევიკური პარტიის დაარსების დღიდან მის რიგებში იყვნენ, ახლა თავის აღშფოთებას გამოსთქვამენ მენშევიკების ც. კ. მიმართ და სვამენ საკითხს იმის შესახებ, რომ მენშევიკურ პარტიას არ შეუძლია ილაპარაკოს საქართველოს მუშებისა და გლეხების სახელით. ჩვენ მივაღწიეთ იმას, რომ ყველაზე შოვინისტური პარტია ნაცარმტვერად ვაქციეთ და ყველაზე უკეთესი ელემენტები სცილდებიან მას. ამით ხასიათდება საქართველ მდგომარეობა.

მოღალატეები არიან მენშევიკები.

შეგვიძლია უთხრათ ჩვენს მტრებს, რომლებიც რატომღაც ფიქრობდენ, რომ ხომერიკი, ჟორდანია და რამიშვილი შეიძლება იყვნენ საქართ ლოს მთავრობა, მხოლოდ ცხაკ ელიავას, ორახელაშვილს, მახარაძ და სხვებს უსათუოდ საქართველ მოღალატეებად თვლიან, რომ საქა თველოს ხალხის, მუშათა კლასის მსოფლიო რევოლიუციის მოღალ ები არის მენშევიკური პარტი მისი ბელადები.

ჩვენ დავრჩით რუსეთის რევო ციასთან.

ჩვენ არასოდეს არ წავსულვა დახმარების საძებნათ არც პუ რესთან, არც ლოიდ-ჯორჯთან. დავრჩით იმათთან, ვინც ჩვენ გ წავლიდა სოციალიზმს, ჩვენ დავ იმათთან, ვინც გვასწავლიდა ბ ლას მშრომელთა მჩაგვრელების ნააღმდეგ... ჩვენ დავრჩით თის პროლეტარიატთან, თის რევოლიუციასთან (მხურ ტაში).

პარტიული ცხოვრება

საქართველოს კომუნისტური პარტიის ტფილისის კომიტეტის ქალთა განყოფილების ანგარიში ტფილისში და მის მაზრებში მუშაობის შესახებ.

(ივნისი 1923 წელი)

საქართველოს კომპარტიის ტფილისის კომიტეტის ქალთა განყოფილების მუშაობა კვლავ გამოცოცხლდა ივნისში.

საერთო საქალაქო სადელეგატო კრებებზე და ქალთა განყოფილების ორგანიზატორების თათბირებზე, ირჩეოდა პრაქტიკული გეგმა საზაფხულო მუშაობისა დელეგატ—ქალებთან და ინსტრუქციები ორგანიზატორებისათვის.

დელეგატ ქალებსა და ორგანიზატორებს შორის ახალმა გეგმამ შეიტანა დიდი გამოცოცხლება, რაც მოედო წარმოებებს და რამაც ძლიერი ინტერესი შექმნა მუშა-ქალთა ფართო მასებში.

ამ თვეში დიდი წარმატება დაეტყო ქალთა ინტელიგენტურ ნაწილს, რომელიც ჩაბმული იყო ქალთა განყოფილების მუშაობაში.

ქალაქის აღმასკომის და ელექტრონის სადგურების სამმართველოს მუშა-ქალთა ინიციატივით ქალთა განყოფილებას გადაეცა წითელი დროშა როზა ლიუქსემბურგის სურათით.

დროშის საზეიმო გადაცემა მოხდა საერთო საქალაქო სადელეგატო კრებაზე, რომელზედაც დაესწრენ წარმოებების და დაწესებულებების მუშა ქალები და დიასახლისები.

მუშა ქალების და დიასახლისების წარმომადგენლების გამოსვლამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა კრებაზე.

ამ თვეში ადგილი ჰქონდა შემთხვევას, როდესაც ცალკე ინტელიგენტი ქალები, კურსისტკები დ დიასახლისები მიმართავდენ ქალთა განყოფილებას თხოვნით, რათა ისინი ჩაებათ ქალთა განყოფილების აქტიურ მუშაობაში.

ქალთა განყოფილება იყვანდა აღრიცხვაზე ამ ამხანაგებს და ამაგრებდა რაიონებზე.

დიდი განვითარება ეტყობა აგრეთვე მუშაობას დიასახლისებს შორის, მათთან მტკიცდება უფრო გარკვეული ორგანიზაციული კავშირი; მათთან მუშაობისითვის, გამოყოფილია ქალთა ორგანიზატორი.

მუშაობა აღნიშნულ პერიოდის განმავლობაში უფრო თავს იყრიდა ცენტრში, რადგანაც რაიონებში ხდებოდა ქალთა ახალ განყოფილებების მუშაობის გაცნობა და მზადება სადელეგატო კრებების გეგმაშეწონილ მუშაობისათვის.

მუშაობის საერთო ნაკლულოვანებიდან გამოირკვევა, რომ პირველი რაიონის ქალთა განყოფილება დღემდე აწარმოებს თავის მუშაობას ქალთა განყოფილების საერთო ხაზის მიუხედავად; ამიტომ ტფილისის კომიტეტის ქალთა განყოფილებამ მიიღო ზომები მუშაობის მოსაწესრიგებლად აღნიშნულ რაიონში; პირველ რაიონის ქალთა განყოფილებაზე მიმაგრებულია ახალი ამხანაგი.

საერთოდ ივლისში მუშაობა კვლავ გამოცოცხლდა და ყველა რაიონებში მოგვარებულია კავშირი წარმოებებთან, რომელიც დარღვეული იყო რაიკომის ზოგიერთ ქალთა-განყოფილების წასვლით.

ორგანიზაციული მუშაობა.

ქალთა განყოფილებამ შეიმუშავა გეგმა პრაქტიკული მუშაობისა დელეგატ-ქალებთან 3 თვით. 4 ციკლით: 1—საბჭოთა აღმშენებლობა, 2.—სამეურნეო, 3. უფლებრივი, 4. პარტიული და პროფესიონალური აღმშენებლობა: აგრეთვე 1 და 2 ციკლის გატარების და ექსკურსიების გეგმა.

შემუშავებულია ანკეტა წარმოებებისა და დაწესებულებებისათვის, ინსტრუქცია ქალთა განყოფილების ორგანიზატორებისათვის წარმოებებში და დაწესებულებებში, ინსტრუქცია ქალთა სასოფლო განყოფილებების ორგანიზატორებისათვის, გეგმა ტფილისის კომიტეტის ქალთა განყოფილების და რაიკომების გაერთიანებული საქმის წარმოების შესახებ.

ამას გარდა ტფილისის კომიტეტის ქალთა განყოფილებამ ყურადღება მიაქცია მჭიდრო კავშირის უქონლობას პროფკავშირთა საბჭოსთან და ახალგაზრდობის კომკავშირთან, რისთვისაც გაიგზავნა ამონაწერები ქალთა განყოფილების მუშების საერთო გეგმიდან, რომელიც დამტკიცებულია ტფილისის კომიტეტის მიერ სათანადო მიმართვით ამ ორგანიზაციებისადმი.

ტფილისის კომიტეტის ქალთა განყოფილების ერთ-ერთ პლენუმზე მკერავთა კავშირის მდივანმა დასვა საკითხი რკინის გზის უმუშევართა არტელის და ცალკე მუშა ქალების ბოროტ-მოქმედების შესახებ.

თათბირმა დაადგინა დახუროს ეს არტელი, რომელიც არ არის წესიერად მოწყობილი.

ამისათვის გაიგზავნა ამონაწერები ყველა დაინტერესებულ ორგანოებში: ბირჟაში, შრომის სახალხო კომისარიატში, მუშათა და გლეხთა ინსპექციაში, კავშირებში და სხვ.

საერთოდ ამ პერიოდის განმავლობაში მოეწყო შემდეგი კრებები:

ტფილისის კომიტეტის ქალთა განყოფილების პლენუმების—4, საერთო-საქალაქო სადელეგ —2, (ერთი სამოილოვას ხსოვნის აღსანიშნავად) ქალთა განყოფილების ორგანიზატორების საერთო-საქალაქო თათბირი—1, საერთო კრებები წარმოებებში—24,

რაიკომების ქალთა განყოფილებების მიერ დაგზავნილია მიმართვა ყველა იაჩეიკებში, რომლის მიხედვით სუსტ ორგანიზატორების მაგიერ უნდა არჩეულ იქნენ ახლები, უპარტიოები შეიცვალონ კომუნისტებით.

მუშაობა მუსულმან ქალებს შორის.

გამოცოცხლდა მუშაობა აგრეთვე მუსულმან ქალებს შორისაც. გაიმართა 4 საერთო კრება, რომლებზედაც ირჩეოდა საკითხები: ანტი სარწმუნოებრივი ხასიათის, საერთაშორისო მდგომარეობის და საკლუბო მუშაობის შესახებ. ერთი კრება დრამატიული წრის, 3 სხდომა კლუბის გამგეობის. მოეწყო მუსულმან ქალებისათვის 2 ექსკურსია ბოტანიკურ ბაღში და როზა ლიუქსემბურგის სახელობის ფაბრიკაში. გამართული იყო 2 საღამო-წარმოდგენა.

გადაღებულია სურათი კლუბის წრის წევრების და მუსულმან ქალების, რომლებიც დადიოდენ კლუბში რეგულიარულად.

წერა-კითხვის და ხელსაქმის წრეების მუშაობა ნორმალურად მიმდინარეობდა.

საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ კლუბს უფრო და უფრო მეტი ინტერესით უცქერიან მუსულმანი ქალები.

მუშაობა მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის.

ამ თვეში ქალთა განყოფილებამ შრომის ბირჟასთან და საკურორტო კომისიასთან ერთად გაგზავნა 40 მუშა სანიტარი კურორტების სამუშაოზე.

ქალთა განყოფილება დახმარებას უწევდა ქალებს სახალხო სასამართლოებში. ქალთა განყოფილების საშუალებით იგზავნებოდენ უმუშევრები ბირჟაში და სხვა საბჭოთა ორგანოებში: ეძლეოდა დახმარება უმუშევრებს უმუშევართა სასადილოს საშუალებით. პირველმა რაიკომმა დაათვალიერა 2 ბავშვთა კრება. ტფილისის კომიტეტის ქალთა განყოფილება ღებულობდა მონაწილეობას ბავშთა სახლის მომწყობ და შემკეთებელ კომისიაში ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატთან.

მუშაობა მაზრაში.

საგრძნობლად განვითარდა აგრეთვე მუშაობა მაზრებში, სადაც ის ატარებს გარკვეულ ორგანიზაციულ ფორმებს.

გარე-კახეთის რაიონში თავდება სასოფლო დელეგატების გამოყოფა მთელს რაიონში. პირველ რიცხვებში მოწვეული იყო სოფლის ქალთა 1 საერთო რაიონული სადელეგატო კრება. კრებას ხელმძღვანელობდა რაიკომი და ის ნაყოფიერად ჩატარდა. კრებაზე გამოდიოდენ გლეხი ქალები სიტყვებით და მისალმებებით.

დელეგატები ჩამოვიდენ ურმებით, რომლებიც მორთული იყო წითელი დროშებით და ყვავილებით. სადელეგატო კრებაზე ჩამოვიდა 10 სოფლიდან—80 დელეგატი ქალი, სხვადასხვა ეროვნების, ქართველები, სომხები, მუსულმანები, ნემცები. ტფილისის კომიტეტის ქალთა განყოფილების ორგანიზატორი გაემგზავრა ასურეთის და ახბულახის რაიონებში. ამ რაიონებში გამოყოფილი არიან მუშაკები ქალებს შორის და შეუდგენ სოფლების დელეგატების არჩევას.

სულ მაზრებში შესდგა შემდეგი კრებები: საგარეჯოში 1, ასურეთში 1, პატარძეულში 1, დურნუკში 1, სართიჭალაში 1.

სადელეგატო კრება სოფ. ასურეთში—2, საგარეჯოში – 2.

კრებაზე დასმული იყო საკითხები დელეგატების მნიშვნელობის, კოოპერაციის და მიწის რეფორმის შესახებ.

ტფილისის კომიტეტის ქალთა განყოფილებამ გაგზავნა რაიკომებში წიგნები, ინსტრუქციები, მუშაობის გეგმა გარე კახეთის რაიონში.

საგიტაციო-საპროპაგანდო მუშაობა.

პირველი რაიონის ქალთა განყოფილების დახმარებით გაიგზავნა მუშათა ფაკულტეტში 20 ქალი, არჩეულია პირველი რაიონის საერთო უპარტიო კონფერენციაზე—28 ქალი.

სასოფლო-სამეურნეო გადასახადი

განმარტება

ამ ჟამად მთელს ამიერ-კავკასიის ფედერაციაში გაცხარებული მუშაობა სწარმოებს მთლიან სასოფლო-სამეურნეო გადასახადის განსახორციელებლად. ამ სასწრაფო და ახალ საქმის გაკეთების დროს ხშირია შეცდომები, რომელსაც ერთგვარი არევ-დარევა შეაქვს მუშაობაში. ცენტრის მიერ მიღებულ ცნობებით, არის ისეთი შემთხვევებიც, როდესაც ზოგიერთ ადგილებში სწორედ ვერ იგებენ და თავისებურად განმარტავენ მთლიან სასოფლო-სამეურნეო გადასახადის დეკრეტს და მის განსავითარებლად გამოცემულ ინსტრუქციებს და დებულებებს. ამის გამო ცირკულიარულად ეცნობათ ეს სახალხო სასურსათო და ფინანსთა კომისარიატების რწმუნებულთ საქართველოში, აზერბეიჯანში და სომხეთში და ეთხოვათ გაუგზავნონ მათ უწყებაში მყოფ სასურსათო და საფინანსო ორგანოებს, აგრეთვე ადგილობრივს აღმასკომებს, შემდეგი ცირკულიარული განმარტება:

I. მოსავლიანობის ხარისხის დაწესების გამო.

ამიერ-კავკასიის სახალხო კომისართა საბჭო, ამიერ-კავკასიის სახალხო სასურსათო კომისარიატისა და ამიერ-კავკასიის ფინანსთა სახალხო კომისარიატის წარდგენით, ამტკიცებს მოსავლიანობის ხარისხს მხოლოდ მაზრებისათვის, ან რესპუბლიკის ცალკე რაიონებისათვის; თვითეულ მაზრის ფარგლებში კი მოსავლიანობის ხარისხის დაწესების უფლება მინიჭებული აქვს თვით სამაზრო აღმასკომებს, სამაზრო საგადასახადო სამეულების წარდგენით, იმ განსაზღვრით კი, რომ გადასახადის საერთო ჯამი, რომელიც უწევს მაზრას მოსავლიანობის მიხედვით და, რომელიც დაწესებულია ამიერ-კავკასიის სახალხო კომისართა საბჭოსაგან არ უნდა იყოს შემცირებული. ამ რიგად სამაზრო აღმასკომებს, რომელნიც მიიღებენ მაზრის მოსავლიანობის საშუალო ხარისხს, დამტკიცებულს სახალხო კომისართა საბჭოს მიერ, უფლება აქვთ, ადგილებში დამოუკიდებლად გაადიდონ მოსავლიანობის ცალკე უბნებისათვის (განსაკუთრებულს შემთხვევებში კი, სახალხო სასურსათო კომისარიატისა და ფინანსთა სახალხო კომისარიატის რწმუნებულთა ნებართვით, ცალკე სოფლებისათვისაც) რამდენიც უნდა არისხებად, ადგილებში ნამდვილის მოსავლის მიხედვით. სამაზრო აღმასკომებს აგრეთვე შეუძლიანთ, რომ ცალკე უბნებისათვის დ სოფლებისთვის შეამციროს სახალხო კომისართა საბჭოს მიერ დაწესებული მოსავლიანობის ხარისხი, მხოლოდ ისე კი, რომ არ იქმნის შემცირებული გადასახადის საერთო ჯამი, რისთვისაც შესაფერისად გადიდებული უნდა იქმნეს მეორე უბნების და სოფლების ხარისხები.

II. გადასახადის გასტუმრების გამო ფულადის და ნატურალურის რაიონებში.

იმ მაზრებში და რაიონებში, რომელშიაც ამიერ-კავკასიის სახალხო კომისართა საბჭოს მიერ დაწესებული იქნება გადასახადის გასტუმრების ფულადი ფორმა, დეკრეტის თანახმად გადასახადი გადახდილ უნდა იქნეს განსაკუთრებით ფულად, ამიერ-კავკასიის სახალხო სასურსათო და ფინანსთა სახალხო კომისარიატების მიერ დაწესებულ ეკვივალენტით; ამ რაიონებში გადასახადის ნატურით გადახდა დეკრეტით ყოვლად შეუწყნარებელია. პირიქით ნატურალურს ფორმის რაიონებში თვითეულ გადამხდელს უფლება აქვს შეიტანოს მთელი გადასახადი ნატურით, ან ფულით, ან ნაწილი ფულად, დანარჩენი ნატურით.

გადასახადის ნატურალური ნაწილის გადახდა შეიძლება მარცვლეულით (ხორბალი, ქერი, ჭვავი, შვრია, სიმინდი, ბრინჯი). არა მარცვლეული, როგორც არის მაგალითად კართოფილი, ზეთი და სხვა გადასახადში არ მიიღება; განსაკუთრებულ შემთხვევებში, სახალხო სასურსათო და ფინანსთა სახალხო კომისარიატების რწმუნებულთა წერილობით და დასაბუთებულ წარდგენით, ამიერ-კავკასიის სახალხო სასურსათო კომისარიატს და ამიერ-კავკასიის ფინანსთა სახალხო კომისარიატს შეუძლიანთ ნება დართონ, რომ რათა რომელიმე ცალკე რაიონში გადასახადის ნატურალური ნაწილი გადახდილ იქნას სხვა პროდუქტებითაც—არა მარცვლეულით.

III. ადგილობრივ გადასახადებისა და ადგილობრივ საჭიროებათათვის ანარიცხების გამო.

მთლიან სასოფლო-სამეურნეო გადასახადის დეკრეტით, ყველა ადგილობრივი გადასახადი როგორც ფულადი, ისე ნატურალური, რომელიც სასოფლო მეურნეობას უწევდა 1923—1924 წლისთვის, ამა წლის ივლისის 1-დან გაუქმებულია. ამრიგად არავითარი ადგილობრივი გადასახადი, გარდა სასოფლო-სამეურნეო გადასახადისა ამ დღიდან არავის შეუძლიან დააწესოს. რაც შეეხება სასოფლო სამეურნეო გადასახადისაგან გადარიცხვას ადგილობრივ საჭიროებათათვის, თანახმად მთლიან სასოფლო სამეურნეო გადასახადის დეკრეტისა მე-11 მუხლისა, ამ ანარიცხს აწესებს მხოლოდ ამიერ-კავკასიის სახალხო კომისართა საბჭო და ადგილობრივ ხელისუფლებას ნება არა აქვთ დამოუკიდებლად დააწესონ ასეთი ანარიცხები

გარბიან მენშევიკურ პარტიიდან

მე ვითვლებოდი მენშევიკურ პარტიაში და თანაუგრძნობდი მას 1919 წლიდან.

მაგრამ ეხლა, ვკიცხავ რა ამ კონტრ-რევოლიუციონურ ლაქიებისა და გამყიდველების პარტიას, გამოვდივარ პარტიიდან.

გაუმარჯოს კომუნისტურ პარტიას.

„ზარია ვოსტოკა“-ს სტამბის მუშა

ივანე ნონიევი.

რეზოლიუცია.

ჩვენ, ქვემორე ხელისმომწერნი, მენშევიკური პარტიის ყოფილი წევრები, ყველასათვის გასაგონათ ვაცხადებთ, რომ დღეიდან ვსტოვებთ მოღალატე ბურჟუაზიულ-მენშევიკურ პარტიას, როგორც მუშათა კლასის მოღალატე პარტიას და გადავდივართ მუშათა და გლეხთა მთავრობის მხარეზე, რომელსაც კომუნისტური პარტია მეთაურობს. ძირს მენშევიზმი და 2 ინტერნაციონალი. გაუმარჯოს კომპარტიას და 3 ინტერნაციონალს.

1.	შარაშიძე ნიკიფორე	— 1915 წ.
2.	ლომთათიძე რაფაელ	— 1917 წ.
3.	შარაშენიძე კაპიტონ	— 1919 წ.
4	გინდაძე თედორე	— 1902 წ.
5.	ჯღერია ნოე	— 1919 წ.
6.	ნოზაძე ვასილ	— 1918 წ.
7.	ხაბაშვილი მელიქსე	— 1917 წ.
8.	დურგლიშვილი ზაქარია	1920 წ.
9.	წივწივაძე გიორგი	— 1918 წ.
10.	უნგიაძე სერგი	— 1917 წ.
11.	ბიბინაშვილი ვლად.	— 1917 წ.
12.	ქურიძე მელიტონ	— 1919 წ.

ეკონომიური ცხოვრება

ვალიუტის კურსი ტფილისში

(9 ივლისი).

ჩერვონცები — — —	14,450
გირ. სტერლინგ. ეფექტ.	13,900
ჩეკები —	12,050
დოლარი ეფექტ. — —	3,100
ჩეკები —	2,850
ოსმალური ქაღ. ლირა —	2235
იტალიური ლირა — —	100
ფრანგული ფრანკი ეფექტ.	155

თბილისის ბაზრის ფასები.

(9 ივლისი)

პური თეთრი—80—100 ათ., პური 2 ხარისხ.—45—50 მ., ფქვილი თეთრი გირ.—100 მ., შაქარი რაფინადი 640—660, შაქრის ფხვნილი—440-450, ერბო 800 ათ. კარაქი—700—800, სამარხვო ზეთი — 220, ბრინჯი—აგდაშის—120 ათ., ყველი თუშური—400 ათ., ნაღებმოხდილი ყველი —200 ათ., ლობიო მწვანე—80—100 ათ., კართოფილი —40 ათ., კომბოსტო—70 80 ათ.,

მუშკოოპის ფასები.

(9 ივლისი).

პური 2 ხარ.—45, თეთრი ფქვილი —80 ათასი, თუშური ყველი—460, კარაქი—960, ხორცი ძროხის—350 ათ. ნატეხი შაქარი—620, ფხვნილი შაქარი—400.

ბირჟის საქონლის განყოფილების მოთხოვნილება.

უმაღლესი ხარისხის ფქვილი, რკინეულობა, სხვა და სხვა ფერის საღებავები ტყავებისათვის, ფურცლოვანი ცინკი, ულტრამარინი, სოდა, ინგლისური თეთრი თუნუქი, საპნის სუროგატები, ინგლისური შაბიამანი, სკიპიდარი თეთრი და ტეხნიკური, ავსტრიული სამუშაო ფეხსაცმელები, ნედლი ტყავეულობა, ძნის შესაკრავი თოკი, ნახიჩევანის ქვა მარილი, საამშენებლო ლურსმნები, ღვედები, სალამასი, ბახმუტის მარილი, ფანჯრის მინეში, ტომრები, შვეიცარიული ყველი.

ტფილისის საქონლის ბირჟის განწყობილება.

(9 ივლისი)

წინანდებულათ მტკიცეთაა უმაღლესი და პირველი ხარისხის ფქვილი. აწეულია ტეხნიკური ცხიმები. დანარჩენი უცვლელია.

ბირჟის საქონლის განყოფილების მიწოდება.

გოგირდი „ბუდა“. რკინეულობა. მავთული № 14. ყუბანის უმაღლესი, 1, 2 და 3 ხარ. ფქვილი. სხვა და სხვა ფორმის რკინეულობა. ბარები. ფიწალი 4 კბილიანი. ჩაი „ინდოეთის ვარდი“. ერბო. შვეიცარიული ყველი. ცეილონის ჩაი. მარილის სინდიკატის პროდუქცია. ცემენტი და ეტერნიტი ნოვოროსიისკ. სრულიად რუსეთის ტყავის სინდიკატის პროდუქცია. რეზინის ტრესტის რეზინის ნაწარმოებები. ს. მ. უ. ს. საფეიქრო—საპნისა და ზეთის გამომხდელ ტრესტის პროდუქცია. რუსეთის ფართლეულობა. საპნის სუროგატები. საამშენებლო ლურსმნები. თოკი. საბეჭდავი ქაღალდი 16—24. ამერიკული ფეხ აცმელები. ინგლისური შაბიამანი.

ფქვილის გაზიდვა სპარსეთში.

ამიერ-კავკასიის საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატის კომისიამ თავისუფალი გაზიდვის უფლება მისცა სპარსეთში ბაქოს ბაზრობიდან ფქვილის გატანისა ყველა სახელმწიფოების დაწესებულებათ და აგრეთვე კერძო პირთაც.

ამიერ-კავკასიის საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატი და ბაქოს ბაზრობა.

ამიერ კავკასიის საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატმა ბაქოს ბაზრობაზე გაგზავნა 100,000 ფუთი შაქარი სპარსეთის ბაზარზე გასასაღებლად; იქვე გაგზავნა 75,000 არშინი საბარდანე ქსოვილი, ბამბისა, მატყლისა და სხვა საქონლისათვის.

ამიერ-კავკასიის საგარ. ვაჭრობის სახალხო კომისარიატს მონოპოლიური უფლება აქვს ჩრდილო სპარსეთის ბაზარზე გაიტანოს ნავთი და შაქარი. ეს გარემოება დიდათ ხელსაყრელია სპარსეთის ბაზრისათვის.

ბაქოს ბაზრობაზე.

ბაქოს ბაზრობის საინფორმაციო-სასტატისტიკო ბიუროს ცნობით, ბაზრობის გახსნიდან ივლისის 2-დე ბაზრობაზე ყოფილა 450,000 ფუთი ადგილობრივი საქონელი. ამავე ხნის განმავლობაში რკინის გზითა და ზღვით მოსულა ბაზრობაზე გასაყიდად სულ 907,382 ფუთი საქონელი, ამათ შორის 139,818 ფუთი ბრინჯი, 109,499 ფუთი ფქვილი, 107,015 ფუთი ფხვნილი შაქარი, 99,474 ხე-ტყის მასალა, 65,919 ფ. ჩირეული და ხმელი ხილი, 47,900 ფ. მარილი, 42039 ფუთი ნატეხი შაქარი, 28,976 ფ. შუშის ნაწარმოები, 22615 ფუთი ბამბა, 98,365 ფუთი ფართლეულობა, 29,338 ფ. ქიმიური ნივთიერებანი ..

სულ ამ ხნის განმავლობაში ბაზრობაზე მისალები იყო 26,524 ფუთი საქონელი, მათ შორის 22,615 ფ. ბამბა. ამას გარდა ნავთსადგურში იყო მოსული სპარსეთიდან 41,837 ფუთი საქონელი, მათ შორის 22,615 ფუთი ბამბა, 8,442 ფ. ჩირეულობა და სხვ.

სულ ივლისის 2-დე ბაზრობაზე მოსულა 975,743 ფ. საქონელი ხოლო ადგილობრივ საქონლიანათ სულ შეადგენს 1,425,743 ფუთს.

2 ივლისამდე ბაზრობაზე გაყიდულა სულ 11,839 მან. (ოქრ.) საქონელი.

ინჟენერ ყიზიმის გამოგონება.

ინჟენერმა ყიზიმმა მოიგონა აპარატი, შავი ქვას მექანიკური წესით დატვირთვისა, რასაც დიდი ყურადღება მიაქცია ამიერ-კავკასიის ეკონომიურმა საბჭომ, რომლის აზრითაც ჭიათურის შავი ქვის სწრაფი დატვირთვა უმთავრესი და უმნიშვნელოვანესი საქმეა ჭიათურის შავი ქვის მრეწველობის განვითარება-გაფართოებისათვის. ამას გარდა ეს აპარატი მეტად აადვილებს დატვირთვის საქმეს, რასაც ეხლა აუარებელ მტვირთველთა ფიზიკური ძალა სჭირდება. (ინჟ. ყიზიმის გამოგონებას ასეთივე გულის ყურით მოეკიდა საქართველოს ინჟენერთა ცენტრალური ბიურო, რომელმაც სპეციალური კომისია დანიშნა ამ აპარატის ყოველ მხრივ შესასწავლად და საცდელათ. კომისიამ ინჟენერ. ყიზიმის გამოგონება მიზანშეწონილად სცნო, და გამომგონის თეორეტიული დასაბუთება სისწორედ მიიჩნია. ამ აპარატს ერთს საათში შეუძლიან დატვირთოს 6,000 ფუთი შავი ქვა.

ინჟენერთა ცენტრალურმა ბიურომ განიხილა კომისიის მოხსენება და დაადგინა, ხსენებული ინჟ. ყიზიმის გამოგონილი აპარატი მიიღოს კომისიის დასკვნათა შეუცვლელად და ყოველნაირად დაეხმაროს, რომ ყველა სათანადო ორგანიზაციებმა ხელი შეუწყონ ამ აპარატის გამოყენებას.

ცენტრალურ სავაჭრო სამმართველოში.

თავის არსებობის განმავლობაში ე. ი. 1922 წ. 17 ივლისიდან, ცენტრალურმა სავაჭრო სამმართველომ ვერ შესძლო სავსებით იმ ამოცანების შესრულება, რომელნიც დებულებაშია აღნიშნული, თუმცა, არსებითად, მისი ბრუნვა წარსულთან შედარებით, თანდათან იზრდება. განყოფილებებისათვის დამზადების მცირე პროცენტი აიხსნება უმთავრესად

ვინ არის მოღალატე?

შესაძლებელია ამხანაგებო, ისინი წარსულში არ იყვენ რუსეთის პროლეტარიატთან ერთად, შესაძლოა, იმ დროს, როდესაც გამოღვიძებას იწყებდა ქართველი, აზერბეიჯანელი და სომეხი მუშა, როდესაც ის თავის კისერზე გრძნობდა მონობის უღელს, შესაძლოა მაშინ ითვლებოდა სამარცხვინოთ და გამცემლებად რუსეთის პროლეტართან, რუსეთის გლეხთან ხელი-ხელ ჩაკიდებული სვლა? არა აქ მყოფმა ძველმა მუშებმა კარგათ იციან, რომ მაშინ ჟორდანიაც და წერეთელიც მხარს უჭერდენ იმას, რათა რუსეთის პროლეტარიატთან ერთად ებრძოლათ ქართველი ფედერალისტების და ნაციონალისტების წინააღმდეგ; არც დამოუკიდებლობაზე, არც რუსეთისაგან ჩამოშორებაზე მაშინ ლაპარაკიც არ ყოფილა, უბრალო ავტონომიის მოთხოვნისათვის ჩვენ საშინლად ვაწამებდით ფედერალისტებს. არც ჩხეიძეს, არც წერეთელს და არც გეგეჭკორს სამარცხვინოთ არ მიაჩნდათ გამოსულიყვენ სახელმწიფო სათათბიროში რუსეთის პროლეტარიატის, რუსეთის დემოკრატიის სახელით, არც წერეთელს, არც გეგეჭკორს, და არც ჩხეიძეს სამარცხვინოთ არ მიაჩნდათ ყოფილიყვენ წარმომადგენლები რუსეთის დემოკრატიის და რუსეთის რევოლიუციისა ოქტომბრამდე. მხოლოდ მას შემდეგ, რაც რუსეთის პროლეტარიატმა საბოლოვოთ დაამხო მემამულეთა ბურჟუაზიული წესწყობილება რუსეთში, მას შემდეგ, რაც რუსეთის პროლეტარიატმა მაღლა ააფრიალა სოციალურ რევოლიუციის წითელი დროშა, მხოლოდ მაშინ ეს ვაჟბატონები გამოიქცენ იქიდან და ქადაგობდენ ზიზღს საბჭოთა რუსეთისადმი, ზიზღს აზერბეიჯანელებსა და სომხებისადმი. საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ეს ვაჟბატონები გარბიან და ეძებენ მფარველობას არა მსოფლიო რევოლიუციაში, არამედ პუანკარესა და ლოიდ-ჯორჯთან. ვინ არის გამცემელი?., ჩვენ, რომელნიც დავრჩით პროლეტარიატის რიგებში მსოფლიო რევოლიუციისათვის საბრძოლველად, თუ ისინი, რომელთაც უღალატეს მსოფლიო რევოლიუციას? რა თქმა უნდა ისინი არიან გამცემლები და არა ჩვენ.

მუშების საკითხი.

რამდენიც არ უნდა ილაპარაკონ იმათ, რომ ჩვენ ვართ ოკუპანტები და მოსკოვის დამქაშები, ჩვენ ვეტყვით, რომ რუსეთის რევოლიუციას, ოქტომბრის რევოლიუციას და მის დიად ხელმძღვანელს ამხ. ლენინს დამქაში—ლაქიები კომუნისტების სახით, არსად არ ჰყავს: მხოლოდ პუანკარეს, ლოიდ-ჯორჯს (მქუხარე ტაში) ჰყავთ ლაქიურად მენშევიკები, დაშნაკები, მუსავატისტები. და სხვები.

თუ ჩვენ თვალს გადავავლებთ საქართველოს მდგომარეობას დავინახავთ, რომ ყველაზე ძლიერი პარტია გაიხრწნა, გაიხრწნა იმიტომ, რომ იმ მუშებმა, რომელნიც 2 ათეული წელი თავს იყრიდენ წითელი დროშის ქვეშ, 3 წლის განმავლობაში მოექცენინ 2 ინტერნაციონალის ბნელ ქუჩაში და ეროვნული შუღლის და ერთმანერთის ხოცვა ჟლეტის დროს, ამ მუშებს ისევ მოაგონდათ წითელი დროშები, მსოფლიო რევოლიუციის ძველი საერთაშორისო დროშა, ჭეშმარიტ ინტერნაციონალის დროშა. და ჩვენ ამხანაგ კომუნისტებს, უპარტიო მუშებს, რომელიც დგანან საბჭოთა ინტერესების სადარაჯოზე, დღეს შეგვიძლია ვსთქვათ, რომ საუკეთესო საჩუქარია ის, რომ პირველ რაიონში მოწვეულია ყოფილ მენშევიკების 25 წლის განმავლობაში. რევოლიუციონურ ბრძოლაში ჩაბმულ ძველი მუშების კონფერენცია მენშევიკურ პარტიის ერთ-ერთ ყოფილ წინამძღოლის და დამაარსებელის ამხ. მარტინოვის თანადასწრებით.

შეიძლება თამამად ითქვას, რომ მტკიცე ეროვნული მშვიდობიანობის დასამყარებლად უდიდესი მუშაობა წარმოებულია უპირველეს ყოვლისა თქვენ მიერ ამხ. რკინისგზელებო.

საბჭოთა აღმშენებლობა.

თუ თვალს გადავავლებთ ჩვენ მეურნეობას, უნდა ვაღიაროთ, რომ იმას, რაც დღეს საქართველოში ხდება, მენშევიკების დროს ადგილი არ ჰქონია. რამდენიც არ უნდა ილაპარაკონ და ილაყბონ, მენშევიკები მაინც ვერ გვიჩვენებენ ვერც არხს, რომელიც მათ გაეყვანათ საქართველოში, ვერც ჩათახის ქარხანას, რომელიც 45 წელი უმოქმედოთ იდგა და მხოლოდ ჩვენ შევსძელით მისი ამუშავება, ვერც იმ უდიდეს ელექტრონის სადგურს, რომელიც შენდება ზემო ავჭალის მახლობლად და სხვა და სხვა.

ავილოთ სახალხო განათლება. საქართველოს სახელმწიფოებრივი ბიუჯეტის 70 პროც. განათლების საქმეს ხმარდება. არც მეფის და არც მენშევიკების დროს იმდენი ბავშვები არ სწავლობდენ შკოლებში, რამდენიც დღეს „ბარბაროსების“ შემოსვლის შემდეგ, რომელნიც აწარმოებენ „გარუსების“ პოლიტიკას. აიღეთ აზერბეიჯანი, შეხედეთ ბიბივიბათის ნავთსადგურს—იქ გახსნილია ამხ. ვ. ი. ლენინის სახელობის სამრეწველო. ეს ჩაიდინა ბაქოს პროლეტარიატმა. იგივე ბაქოს პროლეტარიატი გვპირდება დეკემბერში გაგვასეირნოს ჩვენ ელექტრონის ტრამვაით ბაქოს ქუჩებში, რაც ვერ მოახერხა ვერც ნავთის მრეწველთა და ვერც მუსავატისტების ხელისუფლებამ. ეს იმას ამტკიცებს, რომ მუშათა კლასი ყველგან იჩენს უდიდეს ენერგიას. მე აღარას ვიტყვი სხვა მოვლენებზე. იგივე ითქმის აზერბეიჯანზე კულტურულ აღმშენებლობის მხრივ. ჩვენ იქ გვაქვს 2 ათეული სამასწავლებელო სემინარია, რაც არ ყოფილა მუსავატელების დროს, რომელნიც თავის თავს ეროვნულ მთავრობას უწოდებდენ.

სომხეთში ჩვენ იმავე სურათს ვხედავთ—ალექსანდრეპოლში, რომელიც ნანგრევებს წარმოადგენდა, ქუჩები ქვაფენილებით იკირწყლება, საავადმყოფოები შენდება. ერევანში იგივეა, გაჰყავთ არხები, აშენებენ სახლებს. სომხეთის ხალხი მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დროს ეწევა მშვიდობიან ცხოვრებას. ასეთია მდგომარეობა. დაშნაკელებზე და მუსავეტელებზე ზედმეტია ლაპარაკი, ეს პარტიები მოკლებულნი არიან სიცოცხლის უნარს. სადღაც საზღვარ გარეთ იკრიბებიან, რაღაცას ლაპარაკობენ, რაღაც ბლოკს აწყობენ, ჩვენ არაფერი საწინააღმდეგო არა გვაქვს თუ ისინი ბლოკზე თავს ჩამოიხრჩობენ. მაგრამ ჩვენში მათ ნიადაგი აღარ აქვთ. (ტაში).

შეიძლება თუ არა დღეს, ამხანაგებო, ითქვას, რომ ყველაფერი გაკეთებულია, დავისვენეთ და დავიბინოთო?. შეიძლება ამგვარათ მსჯელობა? არა. დიდი სამუშაო მოგველის ჩვენ და უწინარეს ყოვლისა თქვენ, ამხანაგო რკინისგზელებო. მე არ მინდა ქათინაურების ლაპარაკი, თუ ამიერ-კავკასიის მუშათა კლასში მოიპოვება რაიმე კულტურული—ჩვენ ხომ გლეხთა ქვეყანა ვართ და არ შეგვიძლია დავიკვეხოთ მრეწველობით და პროლეტარულ ჩამომავლობით,—ხართ სწორეთ თქვენ

ჩვენი მეურნეობის ბოძი

თქვენს წინაშე დასმულია უდიდესი ამოცანა,—ზედმეტია მტკიცება, რომ რკინის გზა არის ჩვენი ცხოვრების ნერვი, მაგრამ თქვენ არ შეგიძლიათ დაკმაყოფილდეთ მხოლოდ რკინის გზის სამსახურით,—თქვენ წინაშე, ისე როგორც მთელი ჩვენი პარტიის და ხელისუფლების წინაშე, სდგას ჩვენი სასოფლო მეურნეობის და მრეწველობის აღდგენის ამოცანა, თქვენ უნდა დაამყაროთ გლეხობასთან მჭიდრო კავშირი, რომლის შესახებ ლაპარაკობს ჩვენი დიდი ხელმძღვანელი ლენინი. ჩვენ უნდა მივიდეთ გლეხობასთან, შეუქმნათ მას იაფი სასოფლო-სამეურნეო ბანკი, რომ მას შეეძლოს კრედიტის მიღება და თავისი მეურნეობის წესრიგში მოყვანა. ჩვენ უნდა დავეხმაროთ გლეხობას თავის დროზე გაასაღოს მისი შრომის ზედმეტი ნაყოფი. დღეს საქართველოში, მოიპოვება სიმინდის დიდი მარაგი რომელიც უნდა იქნას გატანილი და გაყიდული, წინააღმდეგ შემთხვევაში, იგი სრულიად დაილუპება. ამიტომ, ამხანაგებო, დღესვე უნდა ვიფიქროთ მომავალ მოსავალზე.

ნაძირალების მუშაობა.

ჩვენ უნდა მივცეთ გლეხობას ის, რის მიცემაც ჩვენ შეგვიძლია. ასე მაგალითად, ყაზანში, აზერბეიჯანში, ნავთის მრეწველობის ცენტრში, ჩვენ არ შეგვიძლია მივაწოდოთ გლეხს ნავთი, გლეხი კი ელოდება ამ ნავთს და თუ ველარ მიიღო იგი, იტყვის: „დაიქცეს საბჭოთა ხელისუფლება, თუ მას არ შეუძლია ნავთის მოწოდება, მაშინ, როდესაც ეს ნავთი ყურის ძირში არისო“.

შემდეგ, უმარილოთაც არ შეუძლია იცხოვროს გლეხმა, მარილი კი ბლომად მოიპოვება ამიერ-კავკასიაში, მაგრამ მის მიწოდებას გლეხისათვის ვერ ვახერხებთ. გუშინწინ მე ვიყავი ხაშურში და იქ მითხრეს, რომ სახალხო მეურნეობის უმაღლესმა საბჭომ გამოაცხადა ნავთის მონოპოლია და მისი ყიდვა მხოლოდ ამ სახ. მეურნეობის საბჭოს საშუალებით შეიძლებაო. გლეხი კი ყიდულობს ნავთს რკინისგზელებისაგან (რკინისგზელი ყოველთვიურად იღებს ნავთის განსაზღვრულ რაოდენობას), კვერცხების, ქათმების და სხვ. გადაცვლით,—ხოლო ამავე დროს გამოდის ვიღაც საბჭოთა მოხელე ამ მონოპოლიის გამტარებელი და ართმევს გლეხს ნავთს და გლეხი წყევლა-კრულვით იხსენიებს ასეთ წესწყობილებას. მე მიამბეს სხვა ფაქტებიც, რომელსაც ადგილი ქონდა ზესტაფონში. გლეხებს, რომელთაც გამოაქვთ ბაზარზე ღვინო დოქებით, სთხოვენ გადასახადებს, და თუ გლეხი გადასახადს არ გადაიხდის, ღვინოს მიწაზე ჰღვრიანო. რა თქმა უნდა ამას ჩაიდენს მხოლოდ ნაძირალი. რაც შეეხება მანუფაქტურას, ისე ძვირი აღარ არის და გლეხს ძალიან ესაჭიროება იგი, მაგრამ ჩვენ არც მანუფაქტურის მიწოდება შეგვიძლია და მე გეუბნებით, თქვენ, ამხანაგებო, რამდენი დეკრეტებიც არ უნდა ვსწეროთ ჩვენ, რამდენიც არ უნდა ვილაპარაკოთ, მაგრამ უთქვენოთ, ადგილებზე თქვენი აქტიური დახმარების გარეშე, ამგვარ ხელოვნების წინააღმდეგ თქვენი აქტიური ბრძოლის გარეშე, ჩვენ არაფრის გაკეთება არ შეგვიძლია.

რუსეთის დახმარება.

რაც შეეხება მრეწველობას, რა თქმა უნდა ჩვენ ამ დარგში არც ისე მდიდრები ვართ, რომ ფართოთ დავაყენოთ იგი, მაგრამ პარტიამ დაადგინა. განაპირა კუთხეებში მოეწყოს მრეწველობის პატარ-პატარა კერები. რუსეთიდან შემოაქვთ საფეიქრო და საპნის სახარშავი ფაბრიკები, რომელიც აქ უნდა მოეწყოს. ასეთი ფაბრიკა მიიღო სომხეთმა და საქართველომ, მიიღებს მას აზერბეიჯანიც. ჩვენ უნდა დავაყენოთ სასოფლო მეურნეობა ისე, რომ იგი აღორძინდეს და არ დაეცეს. რათაც არ უნდა დაგვიჯდეს, ჩვენ უნდა მოვაწყოთ სამრეწველოები ჩვენს რესპუბლიკებში. საბჭოთა ხელისუფლების არსებობის 2 წლის განმავლობაში, ჩვენ რაღაც გავაკეთეთ, მაგრამ ეს ძალიან ცოტაა.

რკინის-გზელის მოვალეობა.

თქვენ, ამხ. რკინისგზელებო, არ უნდა სთქვათ, რომ თქვენი საქმეა ტრანსპორტი და სხვა არაფერიო. ჩვენი ცხოვრების ყველა დარგებში თქვენ უნდა მიიღოთ ყველაზე აქტიური მონაწილეობა. უნდა მიექცეს სერიოზული ყურადღება კოოპერაციას. და სათანადო სიმაღლეზე უნდა იქნას დაყენებული იგი. ეს არის ჩვენი პარტიის ერთ-ერთი მორიგი ამოცანათაგანი.

ეროვნული საკითხი.

რაც შეეხება ეროვნულ პოლიტიკის საკითხს, თქვენ იცით, რომ ჩვენი მტრები გაიძახიან, რომ ჩვენ ვართ ეროვნული კულტურის, სამშობლო ენის მტრები. დეე, ილაყბონ, რაც სურთ, ჩვენ კი განვაგრძობთ იმ დიად კულტურულ მუშაობას, რომელსაც ვაწარმოებდით და ვაწარმოებთ.

ამხანაგებო, საბჭოთა აღმშენებლობაში მშრომელთა ფართო მასების ჩაბმას ჩვენ შევსძლებთ მხოლოდ სამშობლო ენაზე. აქედან გამოდიოდა ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის უკანასკნელი პლენუმი და ამიერ-კავკასიის „ცაკის“ მეორე სესია, რომელმაც გამოუშვა დეკლარაცია ენის და ეროვნულ უმცირესობათა უფლების შესახებ, მიღებული იქნა რა მხედველობაში, რომ ამიერ-კავკასიაში მოსახლეობენ არა მარტო თათრები, ქართველები და სომხები, არამედ აბხაზები, ოსები და სხვ. თუ მენშევიკები ჰყვიროდენ საქართველოს თვით გამორკვევის შესახებ და მათ ავიწყდებოდათ ისინი ვინც არა ქართველები იყვენ, იმასვე სჩადიოდენ მუსავატისტებიც.

მათი „ეროვნული“ საკითხი.

ამას წინად ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტში აღიძრა საკითხი ყარაბახის ავტონომიის შესახებ და როდესაც ლაპარაკობდენ, რომ ძნელია ამის ცხოვრებაში გატარებაო, ამხ. კიროვმა განაცხადა, რომ 2 ნახ. წლის განმავლობაში მუსავატისტების ხელისუფლებამ გათიშა მუსლიმანები სომხებისაგან იმით, რომ სომხურ ნაწილში ამოჟლიტეს ყველა მუსლიმანები, ხოლო მუსლიმანურ ნაწილში ერთი სომეხიც აღარ დარჩა. და ეს ითვლებოდა ეროვნულ საკითხის გადაწყვეტის კარგ საშუალებადო.

ჩვენ, ამხანაგებო, ამ გზას ვერ გავყვებით, არ შეგვიძლია ასე მოვექცეთ ჩვენს მეზობლებს, რამდენიც არ უნდა ილაპარაკონ ჩვენმა ნაციონალისტებმა; პირიქით, ჩვენ უნდა გამოვიჩინოთ მაქსიმუმ ყურადღება და მზრუნველობა ამ უმცირესობისადმი. (ტაში). ამ მხრივ ჩვენი პარტია თავის ღირსების სიმაღლეზე სდგას. თქვენ, ამხ. ქართველებო, იცით, რომ ამ ჟამად საქართველოში „მოდაში“ შემოვიდა სომხების გინება. ქართველმა მუდამ სასტიკი ბრძოლა უნდა აწარმოვოს ამ ხულიგანობის წინააღმდეგ.

ჩვენი მოვალეობა.

ჩვენ ვერ შევსძლებთ ამიერ-კავკასიაში მშრომელთა ნამდვილ ძმობის დამყარებას, თუ დაუზოგავი ბრძოლა არ ვაწარმოვეთ ჩვენი შოვინიზმის წინააღმდეგ. (ტაში). სომხები, ქართველები და მუსლიმანები, რუსები, ოსები და სხვები, რომელნიც, ჯერ კიდევ 2—3 წლის წინად ერთმანეთს ებრძოდენ, დღეს გამსჭვალული არიან ძმური ინტერნაციონალური სიყვარულით. თუ ეს მოხერხდა, ეს მოხდა მხოლოდ იმიტომ, რომ ჩვენ დაუზოგავ ბრძოლას ვაწარმოებდით ნაციონალიზმის წინააღმდეგ საქართველოში, სომხეთში და სხვაგან. ამას, ამხანაგებო, ჩვენ განვაგრძობთ და ამასთანავე ერთად ხელს შეუწყობთ ჩვენი ხალხის კულტურულ აღორძინებას; ყოველგვარი საშუალებით დავიცავთ ხალხის სამშობლო ენას, და პასუხისგებაში მივსცემთ ყოველ არამზადას, რომელიც პატივს არ სცემს ჩვენ კანონებს და ჩვენ ხალხს... ამავე დროს ჩვენ განვაგრძობთ გაბედულ ბრძოლას ამიერ-კავკასიის მშრომელთა ინტერნაციონალურ სოლიდარობისათვის და დაუზოგავად ვიბრძოლებთ იმ ნაციონალისტების წინააღმდეგ, რომელთაც არ შეუძლიათ შეურიგდენ ამიერ-კავკასიის მშრომელთა ძმობას. ჩვენში, ამიერ-კავკასიაში ეს ძირითადი ამოცანა, პირველხარისხოვანი ამოცანაა—ინტერნაციონალურ სოლიდარობისათვის რკინის საძირკველის ჩაყრა, უამისოთ ჩვენ არაფრის გაკეთება არ შეგვიძლება.

ვიზრუნოთ წითელ ჯარზე.

ჩვენ ვამბობთ ამხანაგებო, რომ მიუხედავათ შედარებით კარგი მდგომარეობისა ჩვენ არ შეგვიძლია მივეცეთ ილიუზიებს იმ მხრივ, რომ არავინ თავს არ გვესხმის. ამიტომ ჩვენ სერიოზული ყურადღება უნდა მივაქციოთ წითელ არმიას, რომ თვითეული წითელი არმიელი საზრუნავი საგანი გახდეს ყოველი ჩვენგანისათვის, რათა წითელმა არმიელმა ჩვენი ოჯახის წევრათ იგრძნოს თავი, რომ მთელი ხალხის ყურადღება მიქცეული იყოს იმაზე, ვინც არის მისი დამცველი. ჩვენ გვყავს ეროვნული ნაწილები. დიდი არმიის შედგენა არ შეგვიძლია, რადგან ჩვენ ისედაც მცირერიცხოვანი ვართ, მაგრამ საჭიროა, როდესაც ოჯახს შვილს ვართმევთ, შინ დარჩენილები ეხმარებოდენ გლეხის დედას და ცოლს, საჭიროა წითელ-არმიელი გრძნობდეს, რომ შინ მის ოჯახზე ზრუნავენ.

რკინისგზელთა ამოცანები.

შემდეგ ამხ. ნება მიბოძეთ ორიოდე სიტყვა ვსთქვა თქვენ სპეციფიურ ამოცანაზე, ჩვენი ტრანსპორტის განმტკიცებასა, ისეთ წესრიგში მოყვანაზე, როდესაც შეიძლებოდა გვეთქვა, რომ არც მეფის, არც მენშევიკების, არც დაშნაკელების და არც მუსავატისტების დროს, ჩვენი გზა არ ყოფილა ისეთ კარგ მდგომარეობაში, როგორც ჩვენ დროს. ეს უნდა შესძლოთ თქვენ, და ამას მოახერხებთ მაშინ, თუ პროფკავშირის მუშაობას აბსოლიუტურად ვათანხმებთ რკინის გზის სამმართველოს მუშაობასთან.

თუ თქვენ ორგანოებსა და რკინის გზის სამმართველოს შორის ექნება ადგილი სკანდალებს და შეხლა-შემოხლას, მუშაობა კი არა დეზორგანიზაცია გამოვა. თქვენ მომავალ წელს გექნებათ რკინის გზა არა უკეთეს, არამედ უფრო ცუდ მდგომარეობაში. თქვენი ძირითადი ამოცანაა—შექმნათ ისეთი ორგანო, ისეთი პროფკავშირის საბჭო, რომელიც ხელი-ხელ ჩაკიდებული იმუშავებს საუკეთესო ჩვენ ამხანაგებთან, რომელნიც სათავეში უდგანან რკინის გზას და რომელიც მსხვერპლად ეწირებიან ჩვენ კეთილდღეობას.

სპეციალისტების საკითხი.

მე, ამხანაგებო, არ შემიძლია უყურადღებოთ დავტოვო ერთი გარემოება. დღემდის ამიერ-კავკასიის რკინის-გზაზე გაბატონებულია „სპეცების ჰამიობა“. დღემდის ჩვენმა ძვირფასმა რკინის-გზელმა ამხანაგებმა ვერ გაიგეს კულტურულ ძალების ტექნიკურ ცოდნით აღჭურვილ სპეცების მნიშვნელობა, უიმათოთ კი თქვენ ვერას გახდებით. თქვენ შეგიძლიათ ყოველგვარი მსხვერპლი გაიღოთ. მაგრამ ინჟინერ—სპეციალისტების გარეშე გზას ვერ აღადგენთ და ამიტომ ჩვენი დამოკიდებულება ამ სპეცებთან ფრთხილი, კეთილი სურვილებით გამსჭვალული და ამხანაგური უნდა იყოს.

სანამ ჩვენ ანაბანა არ ვიცით, არაფერი გვესმის, უნდა გაუგონოთ იმათ, ვინც იციან. ჩვენ შევქმენით ჩვენი წითელი არმია სპეცების, მეფის გენერლების საშუალებით რომელმაც დაიცვა საბჭოთა ხელისუფლება ყოველი ჯურის თეთრგვარდიელებისა, დაშნაკებისა, მენშევიკებისა და მსოფლიო იმპერიალიზმისაგან. ამის მტკიცება დღეს ზედმეტია და თუ იძულებული ვართ ვილაპარაკოთ ამაზე დღეს, ეს იმიტომ, რომ ჩვენში საბჭოთა ხელისუფლება არსებობს არა 6 წელი, არამედ 2 ნახ. წელი—**ჩვენ ჯერ კიდევ ახალგაზრდები ვართ**.

წავიდა ის დრო, ამხანაგებო, როდესაც ამბობდენ „დაახრჩეთ, ბიჭებო ისო“ „დაახრჩეთ კი არა“ ყოველმხრივ დაიცავით და იზრუნეთ მასზე—წინააღმდეგ შემთხვევაში არ გვექნება არც ორთქმავალი, არც ტრანსპორტი და არც არაფერი. თუ თქვენ, ამხანაგებო, მიუდგებით ყველა საკითხებს საქმიანი თვალსაზრისით და აირჩევთ თქვენი კავშირის საქმიან, მუშაობის უნარიან ორგანოს, საქმე კარგათ წავა და თქვენ გაამართლებთ ჩვენი პარტიის უმაღლეს ორგანოს.

იმედებს, რომელმაც მომანდო მე ერთხელ კიდევ გადმოგცეთ თქვენ გულწრფელი კომუნისტური სალამი.

ვათავებ რა მოხსენებას, რომელიც ასე გამიგრძელდა, ვუსურვებ თქვენ ყრილობას სრულ წარმატებას, ნაყოფიერ მუშაობას, ისეთი ორგანოს შექმნას, რომელიც ტრანსპორტის მუშაკებთან, სპეცებთან და კომუნისტებთან ხელი-ხელ ჩაკიდებული მიაღწევს ჩვენი ამიერ-კავკასიის რკინის სრულ აღორძინებას.

გაუმარჯოს თქვენ ყრილობას! გაუმარჯოს რკინის გზის პროფკავშირის მომავალ საბჭოს!

(ტაში).

მუშათა ცხოვრება

თბილისის საქონლის სადგურის მუშებში.

5 ივნისს აქ მოხდა ყოფილ მენშევიკურ პარტიის წევრთა კრება, რომელსაც დაესწრენ თბილისის სადგურის და „წევის“ დარგის მუშა-მოსამსახურეები. კრება იყო მოწვეული დეპოს და სახელოსნოს ყოფ. მენშევიკურ პარტიის წევრების ინიციატივით. კრების თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ბაცანკალაშვილი,—მდივნად—ჯიქია. კრებაზე მოხსენება გააკეთა სახელოსნოს მუშამ ამხ. ლუკაშევიჩმა, რომელმაც ხაზგასმით აღნიშნა, რომ მუშათა ინტერესების დამცველი და რევოლიუციის სწორი გზით მატარებელი არის საბჭოთა ხელისუფლება, რასაც ადასტურებს თვით მენშევიკების ძველი მამამთავარი, მასწავლებელი ამხ. ა. მარტინოვი, რომელმაც საძირკველი ჩაუყარა პირველად სოც.-დემოკრატიულ პარტიას რუსეთში. ეს უკანასკნელი გააკეთებს მოხსენებას ამაზე ახლო მომავალში ნაძალადევის თეატრში.

შემდეგ მოხდა დელეგატების არჩევნები. არჩეულ არიან 13 კაცი.

1) ბაცანკალაშვილი, 2) ათიძე, 3) კობიძე ი., 4) ცოცხალაშვილი ს. 5) ბერიშვილი, 6) მარკიშვილი, 7) ცინცაძე, 8) ჯულუხაძე ბ., 9) დოლაბერიძე, 10) თავბერიძე ხ., 11) ჩიგოგიძე ს. 12) ხარაბაძე ვ., 13) ძაგანელი.

მუშა ხიდისთაველი.

იურიდიული დახმარება ამხ. მუშებს.

კითხვა: შრომის სახალხო კომისარიატის ორგანოთ, რა შემთხვევებში შეუძლიათ გაარჩიონ კოლექტიურ ხელშეკრულებათა დარღვევის ნიადაგზე აღმოცენებული საქმეები?

პასუხი: შრომის სახალხო კომისარიატის ორგანოთ შეუძლიან გაარჩიონ კოლექტიურ ხელშეკრულებათა დარღვევის ნიადაგზე აღმოცენებული საქმეები მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ისინი აღძრულია პროფკავშირთა ორგანოების მიერ.

კითხვა: შრომის სახალხო კომისარიატის ორგანოთ უფლება აქვთ თუ არა რაიმე ცვლილება შეიტანონ სარეგისტრაციოდ წარმოდგენილ კოლექტიურ ხელშეკრულებებში ამისათვის დაინტერესებულ მხარეთა შეუთანხმებლად?

პასუხი: კოლექტიურ ხელშეკრულებებში ყოველგვარ ცვლილებათა შეტანის უფლება მათში დაშვებულ კანონთა დარღვევის აღმოფხვრის მიზნით შრომის სახალხო კომისარიატის ორგანოთ უფლება აქვთ მხოლოდ დაინტერესებულ პირთა შეთანხმებით. თუ კი ასეთი შეთანხმება არ არის, უკანასკნელთა მხრივ, მაშინ შრომის სახალხო კომისარიატის ორგანოები უარს აცხადებენ ხელშეკრულების რეგისტრაციაში გატარებაზე. ამასთანავე ისინი მოვალენი არიან დაწვრილებით უჩვენონ დაინტერესებულ პირთ კოლექტიური ხელშეკრულების თუ რომელი მუხლი მოითხოვს შესწორებას (ე. ი. აღნიშნოს სახელდობრ, მასში კანონთა რა დარღვევებს აქვს. ადგილი).

კითხვა: ენახებათ თუ არა დაკავებული ბინა სამსახურის მივლინებაში მყოფ პირებს?

პასუხი: სამსახურის მივლინებაში მყოფ პირებს ენახებათ დაკავებული ბინა მივლინებიდან დაბრუნებამდე, მაგრამ არა უმეტეს ორი თვისა. აუცილებლივ საჭიროების შემთხვევებში ეს ვადა შეიძლება გაგრძელდეს ერთი თვით. მივლინებული, მოვალეა დაუტოვოს სახლის მმართველს მივლინების მოწმობა, ურომლისოდ მას არ ექნება უფლება მოითხოვოს ბინის შენახვა. თუ მივლინებული ოჯახიანია, მაშინ მისი ოჯახი ბინაში სცოვრობს საერთო წესით.

კითხვა. დასაშვებია თუ არა ერთსა და იმავე დაწესებულებაში ახლო ნათესავების და ცოლის ნათესავების სამსახური?

პასუხი: ახლონათესავებს და ცოლის ნათესავებს (მშრომელები, ცოლქმარნი, დები, ძმები, შვილები და აგრეთვე ცოლის მშობლები, დები, ძმები) შეუძლიათ იმსახურონ ერთსა და იმავე სახელმწიფო დაწესებულებაში, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კი მათი სამსახური არ იქნება დაკავშირებული ერთი მეორესადმი დაქვემდებარება — ზედამხედველობასთან. ზემო-აღნიშნულ პირობებში ერთსა და იმავე სახელმწიფო დაწესებულებაში ახლო ნათესავების და ცოლის ნათესავების სამსახური დასაშვებია გამონაკლისის სახით არჩეულ მოსამსახურეებისადმი.

კითხვა: საჭიროა თუ არა მშრომელის თანხმობა ერთი ადგილიდან მეორეში სამსახურის გადაყვანისათვის?

პასუხი: თანახმად შრომის კანონთა კოდექსის 37 და 89 მუხ., მშრომელის გადაყვანა ერთი წარმოებიდან მეორეში ან-და ერთი ადგილიდან მეორე ადგილზე, თუგინდ წარმოება-დაწესებულებასთან ერთად შეიძლება მოხდეს მხოლოდ მშრომელის თანხმობით. თუ კი უკანასკნელის მხრივ არ არის ასეთი თანხმობა, მაშინ შეიძლება გაუქმდეს დაქირავების ხელშეკრულება და ვალდებულია დამქირავებელმა მისცეს მას გასასვლელი დახმარება, არა ნაკლებ ორი კვირის რაოდენობისა.

მუშათა ქრონიკა.

— **გასართობები მუშებისათვის მცხეთის დასასვენებელ სახლებთან.** მცხეთის დასასვენებელ სახლებში მყოფ მუშებისთვის მიწვეულია „კინო-თეატრი“. განზრახულია მოკლე ხანში აქ წარმოდგენების მოწყობაც.

— **თიანეთის სახალხო სახლი.** თიანეთის მაზრ. აღმასკომის თავმჯდომარის ინიციატივით, თიანეთში დამთავრებულია სახალხო სახლის აშენება. ამ კულტურული ნაბიჯით აღფრთოვანებულია მაზრის გლეხობა და მუშა-მოსამსახურენი.

— **მუშათა ცენტრალურ კლუბთან არსებული 1-ლი და 2-რე საფეხურის სკოლებში.** ხსენებულ კლუბთან არსებული **1-ლი საფეხურის** სკოლა რუსულ ენაზე დაამთავრა 21 მსმენელმა, მე-2 **საფეხური** კი 19 მსმენელმა. მსმენელთა 99 პროცენტი პროლეტარულ წრეს ეკუთვნის.

საბრუნავი კაპიტალის უქონლობით; ეს კაპიტალი შედგენილი იყო იმ მცირე მოთხოვნილების თვისებიან საქონლისაგან, რომელიც მიღებული იყო მემკვიდრეობათ მომარაგების საბჭოდან; ამ საქონლის რეალიზაციამ ბევრი დრო შეიწირა.

ცენტრალურ სავაჭრო სამმართველოს უახლოესი ამოცანა იყო თავისი ფონდების გამორკვევა, რაც ბუხჰალტერიის იმ ქაოტიურ მდგომარეობაში მეტად ძნელი იყო. თავის ბალანსის შეკვრის შემდეგ 17 ივლისისათვის ცენტრალურმა სავაჭრო სამმართველომ თავისი ყურადღება მიაქცია განყოფილებების პროდუქციის რეალიზაციას და აგრეთვე ნედლი მასალის შესყიდვას მაგარი ანგარიშით, იმ სურვილით, რომ შეესყიდა იაფად და ამით გაეიაფებია განყოფილებების პროდუქციის ღირებულება. ასეთი შესყიდვით ნაღდ ანგარიშზე კიდევ უფრო შემცირდა ცენტრალურ სავაჭრო სამმართველოს საბრუნავი საშუალებები.

საშუალებების დაგროვების შემდეგ ცენტრალურმა სავაჭრო სამმართველომ დაიწყო კრედიტით სარგებლობა, რომლის რაოდენობას არ შეეძლო მაინც განყოფილებების დამზადებათა უზრუნველყოფა. მიქცეული იყო ყურადღება საკომისიო შუამავლობაზეც, რამაც შეძლება მისცა ცენტრ. სავაჭ. სამმართ. დამდგარიყო ფეხზე და შესაძლებლობა ჰქონოდა თავისი მცირე საშუალებებიდან დახმარება გაეწია ჩათახისათვის 100 ათასს ჩერვონეცის მანეთამდის; დახმარება გაეწია აგრეთვე ქსანის კრამიტის ქარხანას, რომელსაც მთელი რიგი თვეების განმავლობაში ეძლეოდა 1500 მანეთი ოქროთი; ეს იმ დროს, როდესაც კრამიტი ნაკლებად საღდებოდა.

ლუდის მხარშველ ქარხნის აღსადგენად, რომელიც 4 წელიწადი უმოქმედოდ იდგა, დაიხარჯა 12 ათასამდე ჩერვ. მანეთი და ასევე დაიხარჯა ღვინის სახელმწიფო ტრესტის სხვა განყოფილებებზეც.

ცენტრალურ სავაჭრო სამმართველოს მეორე ამოცანა იყო—კრედიტების დიდი რიცხვის შოვნა საკომისიო ოპერაციებისათვის, სანამ დაგროვილი იქნებოდა საშუალებები ფართე დამზადებისათვის.

ამიერ-კავკასიის პურის პროდუქტის სამმართველოში.

შაქრის რეალიზაცია.

ამიერ-კავკასიის პურის პროდუქტის გამგეობამ დაადგინა მიჰყიდოს მთლიან მუშათა კოოპერატივს ორი ვაგონი შაქარი, ფუთი ერთ ჩერვონეცად; ამიერ-კავკასიის პურის პროდუქტის სამმართველოს განკარგულებაში არსებული შაქარი ჩაითვალოს აუცილებელ ფონდათ რუსეთიდან 800,000 ფუთი ხორბლის გადმოსატანად და განაღდებული იქნეს ის საჭიროების მიხედვით.

კაკალი ზაქათალიდან.

ამიერ-კავკასიის პურის პროდუქტის სამმართველოში მიღებულია ზაქათალიდან 2 ვაგონი კაკალი, რომელიც განაღდებული იქნება ტფილისში, ბაქოში და როსტოვში.

პროფკავშირებში

პროფსაბჭოს სამდივნოში

მუშათა სასახლე დუშეთში.

პროფსაბჭოს სამდივნომ დაამტკიცა დუშეთის პროფორგანიზაციის დადგენილება დუშეთში ერთ ერთ სახლის გადაცემის შესახებ მუშათა სასახლის მოსაწყობად.

ა. კ. შრომის სახ. კომ. რწმუნებულის შუამდგომლობა.

პროფსაბჭ. წარმომადგენლად შრომის სასამართლოში დაინიშნა ამხ. ევ. არჩვაძე. შრომის სისხლის სასამართლოს პირველ სესიის თავმჯდომარედ დაინიშნა ამხ. სურგველაძე, ხოლო ამხ. ვულფოვიჩი სამოქალაქო სესიის თავმჯდომარედ.

კომუნალური შეღავათები.

პროფსაბჭოს სამდივნომ აუცილებელ საჭიროებად სცნო შემოიღოს კომუნალური შეღავათები და ქალაქის აღმასკომის წინაშე აღძრას შუამდგომლობა, რომ მუშათა რაიონებში გააშენოს ელექტრონული სადგურები.

დასასვენებელი სახლები პროვინციის მუშებისთვის.

დასასვენებელ სახლებით შეუძლიანთ ისარგებლონ პროვინციის მუშებმაც. პროფსაბჭოს სამდივნომ ამის გამო წინადადება მისცა ყველა სამაზრო ორგანიზაციებს, რომ დროზე გამოგზავნონ დასასვენებლად თავიანთი წევრები.

ფიზიკური კულტურა.

საქ. პროფსაბჭოს მხრივ ფიზიკურ კულტურის საბჭოში დაინიშნა ამხ. გერასიმოვი, რომელსაც დაევალა მუშაობის ხელმძღვანელობა ფიზიკურ კულტურის დარგში.

საბინაო მუშათა კოოპერატივი.

საბინაო მუშათა კოოპერატივის და დამზღვევ კასის იურიდიული დახმარების გაწევა სამდივნომ მიანდო პროფსაბჭოს იურიდიულ ბიუროს.

ქრონიკა

— **საერთაშორისო კოოპერაციის დღე.** 7 ივლისს საერთაშორისო კოოპერაციის დღე თბილისში ჩატარდა ღირსშესანიშნავად. მთელი ქალაქი გაყოფილი იყო 5 რაიონად, ყველა რაიონში გაიმართა მიტინგები და მოხსენებები კოოპერაციის მნიშვნელობის შესახებ. მიტინგებს დაესწრენ მრავალი მუშები და წითელ-არმიელები; თბილისში არსებული ყველა კოოპერატიული დუქნები და დაწესებულებები მორთული იყო ცოცხალ ყვავილებით და დროშებით. ქართული დივიზიის მფრინავი რაზმი გამოვიდა სადემონსტრაციოთ, რომელიც ჰაერიდან ჰყრიდა ფურცლებს. ქუჩებში გაკრული იყო პლაკატები დღესასწაულის შესაფერი ლოზუნგებით.

ა. კ. სახ. კომისართა საბჭოში.

— **ჩათახის ქარხნის ნაყოფიერ მუშაობისათვის.** ა. კ. სახ. კომისართა საბჭომ წინადადებით მიმართა ფინსახკომს, რომ საქ. უმაღ. მეურნეობის სახ. საბჭოს მისცეს სესხის სახით 40 მილიარდი მანეთი ჩათახის ქარხნის საჭიროებისათვის.

— **ადგილობრივი ფონდები.** ა. კ. სახ. კომისართა საბჭომ ოზურგეთის აღმასკომიდან მიიღო ადგილობრივ ფონდებში გადასარიცხად ოზურგეთის მაზრაში აკრეფილი სამოქალაქო ბეგარის თანხები.

— **გზების შეკეთება.** ა. კ. სახ. კომისართა საბჭომ დაამტკიცა ბორჯომ-ახალციხის და ტფილისს-ალექსანდროპოლის მოკენჭილი გზების შესაკეთებლად წარმოდგენილი ხარჯთ-აღრიცხვა.

— **საქართველოს აგარაკების აღდგენა.** საქართველოს აგარაკების აღსადგენათ ა. კ. სახ. კომისართა საბჭომ გადასდო 20 მილიარდი მან.

— **სამხრეთ-ოსეთში სტამბის მოწყობათ.** სამხრეთ ოსეთში სტამბის მოსაწყობათ ამავე სახ. კომისართა საბჭომ გადასდო 3 მილიარდი მანეთი.

— **ნახიჩევანის მარილი.** ა. კ. სახ. კომისართა საბჭომ წინადადებით მიმართა აზერბეიჯანის და სომხეთის მთავრობებს, რომ მიიღონ სათანადო ზომები ნახიჩევანის მარილის მრეწველობის აღსადგენათ.

— **ბაქოს ტრამვაი.** ა. კ. სახ. კომისართა საბჭომ აუცილებელ საჭიროებად სცნო ამა წლის მეორე ნახევარში ბაქოს ტრამვაის საჭიროებისათვის გაიღოს საჭირო თანხა.

მიწ.-მოქ. კომისარიატში.

— **სახელმწიფო მამულების მოსავალი.** მიწად-მოქმედების კომისარიატმა დაადგინა სახელმწიფო მამულების წლევანდელი მოსავალი გამოიყენოს სამეურნეო საშუალებებისათვის, ვინაიდან აღნიშნული მამულების მოსავალი წინასწარ არ გაიყიდა.

განათლების კომისარიატში

— **პენსიების დარიგება პროვინციებში.** განათლების სახ. კომისარიატმა გადაგზავნა ქუთაისსა, თელავსა, გორსა და ოზურგეთში 645 მილიონი და 750 ათასი მანეთი დამსახურებულ საზოგადო მოღვაწეთათვის ივნისის პენსიის დასარიგებლად.

წითელ ჯვარში.

— **მალარიის წინაღმდეგ ბრძოლა.** 11 ივლისს საქართ. წითელი ჯვარი გარეთ კახეთში გზავნის ორ საექიმო რაზმს მალარიის წინააღმდეგ საბრძოლველათ.

— ამ დღეებში მიდის წითელი ჯვარის მალარიის წინააღმდეგ მებრძოლი ექსპედიცია კახეთში ალაზნის გაღმა.

— ერთი ექსპედიცია ამავე მიზნით მიემგზავრება სამურზაყანოში გალის რაიონში.

გამომცემლობა.

— **„ჩვენი მეცნიერება“-ს მე-2 და მე-3 ნომერი.** დაიბეჭდა და ამ ორ დღეში გამოვა გასასყიდათ სამეცნიერო კრებულის „ჩვენი მეცნიერება“-ს მე-2 და მე-3 ნომერი. ნომერში მოთავსებულია შემდეგი წერილები: 1) პრ. შალვა ნუცუბიძე—შპენგლერი, როგორც ევროპიული აზროვნების კრიზისის მაჩვენებელი; 2) კ. ბაქრაძე—ალეთოლოგიური რეალიზმი; 3) პრ. დ. უზნაძე—სახელდების პსიქოლოგიური საფუძვლები; 4) პრ. გ. ახვლედიანი—„სა—ო“ და „—ური“-ს მნიშვნელობა; 5) პრ. გ. ახვლედიანი—პროთეტული ხმოვნის საკითხისათვის ოსურში; 6) ბ. ჩიქობავა—ვ—ინის რეფლექსები ფერეიდუმში; 7) დოცენტი გ. ნათაძე—გლეხების გადასახადები უძველეს საბერძნეთში; 8) პრ. კ. კეკელიძე—ორი ექვთიმე ძველს ქართულ მწერლობაში; 9) პრ. გ. წერეთელი—მენანდროს კომედიები; 10) სერგო გორგაძე—ფილოსოფიური მიმართულებანი ძველს ქართულ მწერლობაში; 11) პროფ. ბერიტაშვილი—აგზნებულების სხვა და სხვაობა კუნთის ფარგლებში; პრ. ლ. ნათიშვილი—ადამიანის აორტის რკალის დატოტიანების წესის ემბრიონალური დარღვევა; 13) პრ. ვ. მოსეშვილი—საქართველოს რესპუბლიკის საბალნეოლოგიო პუნქტების მოწყობის გამო.

გარდა ამისა კრებულს დამატების სახით დართული აქვს მოკლე მიმოხილვა სამეცნიერო დაწესებულებათა მოღვაწეობისა და ქართული სამეცნიერო ტერმინოლოგია მიღებული სახ. სამეცნიერო საბჭოს მიერ, აგრეთვე რამდენიმე სურათი.

სხვა და სხვა.

— **მატარებლების დაჯახება.** 9 ივლისს სადგურ სანკასთან, ტფილისიდან მიმავალი საბარგო მატარებელი დაეჯახა მეორე საბარგო მატარებელს. დაიმსხვრა რამდენიმე ვაგონი. მსხვერპლი არ არის.

— **ზაქ. ჭიჭინაძის და სეიფოლა იოსელიანის მოხსენება ჭიათურაში.** ამ დღეებში ჭიათურაში მიემგზავრებიან ფერეიდნელ ქართველების წარმომადგენელი სეიფოლა იოსელიანი და ზაქ. ჭიჭინაძე. პირველი წაიკითხავს მოხსენებას: „ფერეიდნელ ქართველთა ცხოვრება და მდგომარეობა“. ხოლო მეორე—„ქართველთა გადასახლების მიზეზები სპარსეთში შაჰ-აბაზის მიერ“.

— **პოლიტიკურ ხელმძღვანელთა კურსები.** 15 ივლისს ქართული დივიზიის პოლიტ-განყოფილება ხსნის ორთვიან პოლიტიკურ ხელმძღვანელთა კურსებს. კურს დასრულებულნი დაიგზავნებიან ნაწილებში. კურსებზე სულ იქნება 50 მსმენელი, აქედან—30 კომკავშირის ორგანიზაციებიდან და 20 ჯარის ნაწილებიდან.

— დავკარგე პარტიული ბილეთი № 496269. ჩაითვალოს გაუქმებულათ. ბესარიონ ერბელიძე.

შრომის ბირჟა

— შეღავათიანი ბილეთები. ივნისის განმავლობაში შრომის ცენტრალურმა ბირჟამ შეღავათიანი სამგზავრო ბილეთები გასცა 47, აქედან 23 მისცა სამშობლოში მიმავალ უმუშევრებს და 24 გროზნოს აგურის ქარხანაში მივლინებულ მუშებს.

შემთხვევები.

— მდინარეში დაღრჩობა. 5 ივლისს საღამოს, მდინარე მტკვარში ბანაობის დროს, დაიღრჩო კუჭუშკა სარკისოვის ძე მუხრანი (11 წლის).

— უცაბედი მკვლელობა. მე-3 სამილიციო უბნის უფროს თანამშრომელს მოვალეობის ასრულების დროს უცაბედათ გაუვარდა რევოლვერი, რომლითაც სასიკვდილოთ დასჭრა ამავე სამილიციო უბნის თანამშრომელი ბადალიძე.

— დაკარგვა. 5 ივლისს უგზო-უკვლოდ დაიკარგა პლეხანოვის ქუჩაზე მოვაკრე დონაძე. სწარმოებს ძიება.

— ქურდობა. 6 ივლისს ანასტასიევის ქუჩაზე (სახ. № 13) ბოროტ-გამზრახველებმა გაქურდეს დანიელოვის ბინა, საიდანაც წაიღეს რამდენიმე ასეული მილიონის სხვა და სხვა ნივთები.

ბიბლიოგრაფია

„რევოლიუციის მატიანე“

ისტორიული ჟურნალი № 3.

გამოცემა საქ. პარტიულ საბჭოთა პრესის ცენტრალური კანტორისა.

პარტიის ისტორიის კომისიის ჟურნალ „რევოლიუციის მატიანე“-ს მორიგი ნომერი შესდგება ხუთი განყოფილებიდან:

ისტორიული წერილები, მოგონებანი, ავტობიოგრაფიები, რევოლიუციის მსხვერპლთა ხსოვნა და პარტიული არქივი.

პირველ განყოფილებაში მოთავსებულია გაგრძელება რ. კალაძის დიდი ისტორიული მიმოხილვის „ქართული მუშათა ჟურნალ-გაზეთის ისტორია 80-90 წ.“ ჟურნალის ამ ნომერში ავტორი, როგორც მონაწილე მეოთხმოცდაათე წლების სოციალ-პოლიტიკური მოძრაობისა, იძლევა საყურადღებო ცნობებს „მესამე დასის“ წარმოშობის და ჟურნალ „კვალის“ მიმართულების შესახებ, რომელიც 1898 წ. ნ. ჟორდანიას ორგანოთ გახდა. საყურადღებოა, რომ სოციალ-დემოკრატიულ მემარცხენე წრეებში იმ დროსვე უკმაყოფილება იყო ჟურნალ „კვალის“ და მისი ხელმძღვანელის მიმართულებით. განსაკუთრებით უარყოფითად უყურებდა ხსენებულ ჟურნალს განსვენებული ლადო კეცხოველი.

შემდეგ მიდის ამხ. ს. თალაკვაძეს წერილის გაგრძელება „საქართველოს რევოლიუციონური მოძრაობის წარსული“ (1870 წლიდან 1905 წლამდე) მეორე ნაწილი, რომელიც ახალგაზრდათა კომკავშირის ჟურნალ „მომავალის“ მეხუთე ნომერში იყო დაბეჭდილი.

მეორე განყოფილებაში მოყვანილია მთელი რიგი მოგონებებისა, ზოგი მოკლე და დასრულებული, ზოგი კი წარმოადგენს გაგრძელებას წინა ნომრებში დაბეჭდილი წერილებისას, როგორც მაგ. ქ. ცინცაძის „ჩემი მოგონებანი 1903 წ.—1920 წ.“ ეს განყოფილება მეტად ვრცლად არის წარმოდგენილი და საყურადღებო მასალას შეიცავს საქართველოს რევოლიუციონური მოძრაობის შორეულ და ახლობელ წარსულიდან. სულ მოყვანილია მოგონებანი შემდეგი თერთმეტი ავტორისა: გ. ჩხეიძე, ქ. ცინცაძე, ს. თოდრია, გ. ვაშაძე, თ. კალანდაძე, ვანო ჯუჯულავა, გ. ნუცუბიძე, რუბენი, ს. თალაკვაძე, ვ. ცაბაძე და შ. დავიდოვი. რევოლიუციის აქტიურ მონაწილეთა ცნობებს, თუ გინდ ისინი ხანდახან დეტალებში კიდეც სცდებოდენ, დიდი მნიშვნელობა აქვს ისტორიის მეცნიერულ დამუშავებისათვის.

მესამე განყოფილებაში მოყვანილია სულ სამი ავტობიოგრაფია: პარმენ ცინცაძის, არაქელა ოქუაშვილის და აკოფ აკოფიანის, (სომხეთის ცნობილი პროლეტარული პოეტის).

მეოთხე განყოფილებაში მოყვანილია ამხ. ვ. სტურუას მიერ შედგენილი მიხო ზაქარიასძე ბოჭორიძის ბიოგრაფია და შემდეგ ამხ. ვანო მარკოზისძე კალანდაძის შესახებ მოკლე ბიოგრაფიული ცნობები.

პარტიულ არქივში ამხ. ფ. მახარაძის ორი საინტერესო ისტორიული წერილია:

1. მუშებისა და გლეხების რევოლიუციის უტყუარი ნიშნები.
2. რას ფიქრობენ?

დასასრულ 1904 წ. „პროლეტარიატის ბრძოლის“ ფურცლის № 5-6 შინაარსი, რომელიც საინტერესო სურათს იძლევა რევოლიუციონურ მოძრაობის იმ პერიოდის შესახებ.

ჟურნალი შეიცავს 274 გვერდს და სავსებით ამართლებს თავის დანიშნულებას, პარტიის და რევოლიუციის ისტორიის შესწავლას. რამოდენიმეთ შთაბეჭდილებას ასუსტებს მხოლოდ ის ფაქტი, რომ ზოგიერთი წერილები სულ ამ უკანასკნელ დროს გამოქვეყნებული იყო სხვა გამოცემებში და ჟურნალის ამ ნომერში განმეორებით არიან მოყვანილი. ტეხნიკურად ჟურნალის მესამე ნომერი საერთოდ დამაკმაყოფილებელია. ყველა, ვისაც აინტერესებს ჩვენი რევოლიუციის და მის მოღვაწეთა წარსული, სიამოვნებით წაიკითხავს ჟურნალის ამ ნომერს.

ვ.

პროვინციაში

მოლითის თემი (შორაპნის მაზრა)

1 ივლისს, კვირას, დ. მოლითში გამართულ იქნა გრანდიოზული საღამო თემის ახლად გახსნილ კლუბში. ადგილობრივი დასის დახმარებით მოწყობილ იქნა წარმოდგენა სხვა და სხვა პიესებით. ირ. ფერაძის მიერ წაკითხულ იქნა ლექცია. წარმოდგენას დაესწრო დიდძალი ხალხი წარმოდგენამ ღრმა შთაბეჭდილება დასტოვა აუდიტორიაზე. ერთმანეთს ეუბნებოდენ, კაცო, გვეუბნებოდენ და მართლაც აასრულეს დაპირებაო. რაც არ ქონებია მოლითის თემს არასოდეს, ის გვეღირსაო. კლუბი იქნა გახსნილი ადგილობრივ აღმასკომის ენერგიის წყალობით. კლუბი მშვენივრად არის მოწყობილი. სოფლებში სწარმოებს ყოფილი ეკლესიების შენობების კლუბებათ და სკოლებათ გადაკეთება, რასაც ხალხი დიდი თანაგრძნობით უყურებს. ეს მუშაობა მოკლე ხანში დამთავრდება. მოლითის თემის მშრომელი ხალხი მადლობას უძღვნის თავის დამცველ მუშურ-გლეხურ მთავრობას. ზიზღი და კრულვა მენშევიკურ პარტიას და მის დამქაშებს.

იქაური.

აგარაკი ბაკურიანი

კვირას 1 ივლისს ადგილობრივ საზაფხულო დარბაზში პოლიტიკურ განათლების განყოფილების ხელმძღვანელობით გამართული იყო საღამო. წარმოდგენილი იქნა სამ მოქმედებიანი კომედია „ხანუმა“. დარბაზი ხალხით გაჭედილი იყო. უმეტესად წარმოდგენას დაესწრო ადგილობრივი მკვიდრი მცხოვრებლები. მოაგარაკეთა რიცხვი კი წელს ჯერ-ჯერობით ბაკურიანში მცირეა, ალბად სიცივეების გამო.

წარმოდგენის დაწყების წინ აღმასკ. თავმჯდომარემ ამხ. ივანოვმა მოკლე სიტყვით მიმართა დამსწრე საზოგადოებას და თეატრის კულტურული მნიშვნელობა აუხსნა. შემდეგ კი დაიწყო წარმოდგენა.

სამწუხაროთ წარმოდგენამ მკრთალად და უსიცოცხლოდ ჩაიარა, რაც აიხსნება მით, რომ თითქმის ყველა მონაწილენი ახალი სცენის მოყვარენი იყვნენ და მოუმზადებლობა ეტყობოდათ, განსაკუთრებით ემჩნეოდათ გაუბედაობა.

შედარებით კარგი იყო ამხ. ნოსაძე „აკოპას“ როლში. ეტყობოდა, რომ ამხ. ნოსაძე თვითონვე გრძნობდა თავის უპირატესობას სცენაზე, რამაც ის თანდათან გაათამამა და მის როლს სიცოცხლე მოუმატა. მაგრამ ამხ. ნოსაძე ბევრ ადგილას აჭარბებდა და ასეთი გადაჭარბებით პიესის მსვლელობაში ერთნაირი უხერხულობა შეჰქონდა.

აღსანიშნავია, რომ საღამო წარმოდგენა გამართული იყო მეტად სიმპატიური მიზნით; ბილეთების ფასებიც დაკლებული იყო და საზოგადოებაც ბლომად დაესწრო.

იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ პოლიტიკურ განათლების განყოფილება მომავალშიც ენერგიულად განაგრძობს მუშაობას ხელოვნების დარგში, და მიაწოდებს ადგილობრივ მცხოვრებთ და მოაგარაკეთ კულტურულ საზრდოს.

მოაგარაკე გრიშა.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

პარტიული.

— საქართველოს კომპარტიის ტფილისის ორგანიზაციის მე-3 რაიკომი წინადადებას აძლევს შემდეგ ამხანაგებს: 1. ავეტისოვს, 2. ათარბეკოვს, 3. ადამიძეს, 4. ადამიანს, 5. ოგანოვს, 6. არნაუტოვს, 7. ამოს, 8. ბუნიატ-ზადეს, 9. ბაგიროვს, 10. ბაშინჯაგიანს, 11. ვანციანს, 12. ვულფოვიჩს, 10. ლოლობერიძეს, 14. დანდუროვს, 15. დემჩევოის, 15. ერქომაიშვილს, 17. ეგიკოვს, 18. კასიანს, 19. კარახანიანს, 20. ლევშიცს, 21. მოჩხილაძეს, 32. მაშკევიჩს, 23. მელიქსეტოვს, 24. ნემჩინოვს, 25. ოკუჯავას მ., 26. ოკუჯავა ნიკოლოზს, 27. ოგოროდნიკოვს, 28. პოლისს, 29. სააკიანს, 30. საბაშვილს, 31. სურხატიანს, 32. სეროპიანს, 33. სოსიანს, 34. თარხანოვს, 35. ტერ-არუთინოვს,—თანახმად საქართველოს კომპარტიის ტფილისის კომიტეტის მობილიზაციისა გამოცხადდენ ორშაბათს, 9 ივლისს, დღის 12 საათზე, საქართველოს ახალგაზრდათა კომკავშირის ტფილისის ორგანიზაციის მე-3 რაიკომში.

მე-3 რაიკომის პასუხისმგებელ მდივნის მაგიერ: რახმანი.

— საქართველოს კომპარტიის ტფილისის ორგანიზაციის 3 რაიკომი აცხადებს, რომ სამშაბათს, 10 ივლისს, საღამოს 5 საათზე, 3 რაიკომის შენობაში შესდგება 3 რაიონის დელეგატ ქალების თათბირი ქალთა ორგანიზაციებთან ერთად.

დღის წესრიგი:

„საბჭო და მისი სექცია“ ყველა დელეგატ ქალების და ქალთა ორგანიზატორების დასწრება სავალდებულოა.

მდივანი ვართაპეტიანი.

— საქართველოს კომპარტიის ტფილისის ორგანიზაციის 3 რაიკომი აცხადებს, რომ ოთხშაბათს, 11 ივლისს, საღამოს 6 საათზე, 3 რაიკომის შენობაში შესდგება 3 რაიკომის გაფართოებულ პლენუმის სხდომა უჯრედების მდივნებთან და უჯრედების დელეგატებთან ერთად.

დღის წესრიგი:

1. რაიკომის განყოფილებების ანგარიში და შემდეგი მუშაობის გეგმა.
2. მიმდინარე საქმეები.

მდივანი ვართაპეტიანი.

— თვიური ანგარიშების თავის დროზე წარმოუდგენლობის გამო, მიუხედავათ არა ერთხელ გაფრთხილებისა, საქართველოს კომპარტიის ტფილისის ორგანიზაციის მე-4 რაიკომი მკაცრ შენიშვნას უცხადებს პირადი საქმეში შეტანით უჯრედების შემდეგ მდივნებს:

1. კევხიევი უჯრ. № 2, 2. სტეფანოვი უჯრ. № 6, 3. დემჩევოი უჯრ. № 10, 4. გეგეჭკორი უჯრ. № 12, 5. ბოროვოი უჯრ. № 13, 6. სტეფანოვი უჯრ. № 17, 7. ფიალკოვსკი უჯრ. № 18, 8. ზირაქაშვილი უჯრ. № 19, 9. ოგანეზოვი უჯრ. № 23, 10. დოლიძე უჯრ. № 24, 11. პოკროვსკი უჯრ № 28, 12. ანშილევიჩი უჯრ. № 30, 13. კვარაცხელია უჯრ. № 31, 14. თუშიშვილი უჯრ. № 33, 15. კაჩკინცევი უჯრ. № 34, 16. ცულუკიძე უჯრ. № 36, 17. საბაშვილი უჯრ. № 39.

პასუხისმგებელი მდივნის მაგიერ არუსტანოვი.

განცხადებები

ანასტასია ოქროპირის ასული და არეთი ნიკოლოზის ასული გოგოლაშვილები გაზრდილებით აცნობებენ მეგობრებს, ნაცნობებს და ნათესავებს, რომ მათი ძვირფასი მასწავლებელ

ილიანე ნესტორის ძე
გოგოლაშვილის

40 დღის პანაშვიდი გადახდილ იქნება სოფ. მესხეთში (ქუთ. მაზ.) 14 ივლისს დილით შაბათს 12 საათზე. 931—1—1

განათლების სახალხო კომისარიატის მუშათა ფაკულტეტის სექტორის განკარგულებაში არსებული **საბუღალტერიო პრაქტიკული კურსი**
ი. ფ. პალატნიკოვის
პლეხანოვის პრ. № 182.
სწარმოებს მიღება ახალ ჯგუფებში.
მეცადინეობა დაიწყება 20 ივლისიდან.
კურსების გამგე ი. პალატნიკოვი.
0—5

სახალხო ბანკის
გამგეობა
ამით აცხადებს, რომ 1923 წლის 1 ივნისიდან ამავე წლის 1-ლ აგვისტომდე საქართველოს ყოფილ ბანკებში დაგირავებულ სახლების ვალის გადასახდელად როგორც მიმდინარე ნახევარი წლის შემოსატანისათვის, აგრეთვე მთელი ვალის ერთდროულ გადასახადისათვის **ოქროს მანეთის კურსი** ინგარიშებოდეს
ერთ მილიონ მანეთად
ამიერ-კავკასიის ფულის ნიშნებით.
კრ. 495 1—1

ნახვა და ჩაწერა 9—2 ს. და 4—7 ს. მცირე ხნის განმავლობაში გავდივარ სრულ კურსს
მათემატიკისას და ვამზადებ
მუშფაკზე, შრომის და სამხედრო სკოლ., საბებიო ინსტიტ (ქალებს), საერთო განათ. კურსებ. შესასვლელად. პლეხანოვის ქუჩა № 25. (შესავალი ალექსის ქუჩიდან № 5). 934—3—2

ამიერ-კავკასიის სახელმწიფო ვაჭრობის სამმართველოს
სავაჭრო განყოფილება
აცნობებს სახელმწიფო დაწესებულებებს, კოოპერატივებს და კერძო პირებს, რომ 11 ივლისს დილის 10 საათზე
საჯარო ვაჭრობით
გაიყიდება ტყავი **Chrom Kid**, პირველი და მეორე ხარისხის, **Chrom chevreau** და **Box** 1500 ცალის რაოდენობით.
საჯარო ვაჭრობა ზეპირია, ადგილი—ამიერ-კავკასიის სახელმწიფო ვაჭრობის სამმართველოს საწყობები (საბაყოს ქუჩა).
ვაჭრობაში მონაწილეობის მსურველებმა უნდა შეიტანონ საუქციონო კომისიაში საქონლის ღირებულების 10 პროცენტი.
კრ. 494 2—2

ამიერ-კავკასიის რკინის გზათა
სამმართველო
აცნობებს
ყველა სახელმწიფო დაწესებულებებს, კოოპერატიულ ორგანიზაციებს, კერძო პირებს და ცალ-ცალკე ბაღების მეპატრონეთ, რომელნიც დაინტერესებული არიან ხილისა და ბოსტნეულის გახმობაში, რომ მიმდინარე სეზონში ამიერ-კავკასიის ფარგლებში განზრახულია მოეწყოს
ხილისა და ბოსტნეულის გამხმობ
მატარებელის, ექსპლოტაცია რომელსაც ყოველგვარი საქარხნო მოწყობილება ექნება ნედლი მასალის მექანიკურად გადამუშავებისათვის (ალუბალი, ჭერამი, უნაბი, ატამი, ვაშლი, კარტოფილი, სტაფილო და სხვა ხილი და ბოსტნეული) გამხმარ პროდუქტებში.
1) ნედლი მასალა შეიძლება ჩაბარებულ იქნეს გადამუშავების ღირებულების გადახდით, მაგრამ არა უმეტეს ერთი მანეთისა თვითეულ ფუთ გამხმარ პროდუქტზე; იმ ხილისა და ბოსტნეულისათვის, რომელთა გასავალის პროცენტი დიდია, გადამუშავების ფასი შეიძლება თანაბრად შემცირებულ იქნეს.
2) გადამუშავების ფასი შეიძლება გადახდილ იქნეს თანაბარი ღირებულების ნედლი მასალით ან ნაწილობრივ ფულით და ნედლი მასალით.
3) შემკვეთელებს მთელი რიგი შეღავათებისა ეძლევათ ტრანსპორტიროვკისა, შენახვისა, რეალიზაციისა და ფრახტის გადახდაში, აგრეთვე ეძლევათ სესხი გადამუშავებულ პროდუქტის გირაოს ქვეშ.
4) ტარის შეძენის სიადვილისათვის, რომელიც დამზადებულ პროდუქტის ჩასაწყობად არის საჭირო, ხილისა და ბოსტნეულის გამხმობი მატარებელი ყუთების დასამზადებლად ღებულობს შეკვეთებს კლიენტებისათვის ხელსაყრელ პირობებში. მატარებელი იღებს შეკვეთებს აგრეთვე მორისა და ფიცრების დასახერხავად, ხმელ ხელსაწყოების რემონტისათვის და ხორბლეულ პროდუქტების დასაფქველად; ყველა ეს სამუშაოები შესრულებული იქნება მატარებელის დამხმარე მოწყობილობის საშუალებით; ყველა იმათ, ვისაც სურს მატარებელით სარგებლობა, წინადადება ეძლევათ თავის დროზე შეიტანონ განცხადება, რადგან შეკვეთების შესრულება ხდება რიგის წესით და იმ რაიონების შეთანხმებით, სადაც მატარებელმა უნდა იმუშაოს.
ცნობებისათვის უნდა მიმართონ ამიერ-კავკასიის რკინის გზათა სამმართველოს ეკონომიურ სამსახურს (სადგურის ქ. № 1, მე-2 სართული, ოთახი № 57).
(კრ. 473—5—5)

კბილის ექიმი
ს. ა. ცეიტლინი
საპიოროს ქ. № 41, მიღება მუდამ დღე 9—2 საათ. დღის და 4—7 ს. საღ. კვირაობით 9—2 ს. დღის
ხელოვნური კბილები. ოქროს მუშაობა 25—20

ელექტრონის სინათლის და
სამკურნალო
საწოლებით რენტგენი დიაგნოსტიკა
მიხეილ გედევანიშვილის სახელობის
ნერვიულ და შინაგან ავადმყოფთათვის—რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ.
სამკურნალოს სწარმოებს ექ. სვიმონ ყიფშიძის ხელმძღვანელობით. ტფილისი, ყორღანოვის ქ. № 20. (501—25—15)

ქ. თბილისის მე-5 უბნის სახ. მოსამართლე

(მუხრანის ქ. № 4).

იწვევს უკვალოთ დაკარგულ დჟანგირ ალლახ ვერენ ოღლის, როგორც მოპასუხეს—აზიზ კიას კიზის საჩივრის გამო განქორწინების შესახებ, რომელიც უნდა გამოცხადდეს ამ განცხადების დღიდან ორ თვის განმავლობაში სასამართლოში, თუ არ გამოცხადდა აღნიშნულ ვადაში, საქმე გაირჩევა დაუსწრებლათ და განაჩენი იქნება ძალაში შესული.

939—1—1

სახ. მოსამართლე

დავკარგე მეტრიკული მოწმობა ანტონინა, ელენა, ვერა, დავით, ვასილ, ანდრო და გრიგოლ ყლენტის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 931—1—1

„ზარია ვოსტოკა-ს“ სტამბა, კრუზენშტერნის ქუჩა № 4.